



საბჭოთავ სამართალი

ს.ს.ს.რ.
უსსსსსსპოპის
იჩკპირპუდი
იჩტანა

№ 4

28 თებერვალი

1929

შინაარსი

- მონინავე -- ჩვენი მიღწევები და ამოცანები იუსტიციის დარგში საქართვე. გასაბჭოების 8 წლის თავზე.
- ბ. ქავთარაძე -- სისხ. სამართლისა და შრომა-გასწორების პოლიტიკის შესახებ.
- ი. როინაშვილი -- სისხლის სამართ. საპროც. ახალი კოდექსის გარშემო.
- კ. მიქელაძე -- საკავშირო მიწის ძირითად კანონის პრინციპების შესახებ.
- დ. მირიანაშვილი -- მილიციის როლი პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში.
- ვ. ჯინჭარაძე -- მუშა-მოსამსახურის დათხოვნა უყარგისობისა და მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო.
- მ. თუმანიშვილი -- სისხ. სამართ. კოდექ. 162 მ. შესახებ.

პრაქტიკოსის შენიშვნები

- გ. ფიცხალავა -- სახ. სასამართლოს მუშაობის შესახებ.
 - ი. კაციაძე -- სახ. და საზ. დაწესებ. მოსამსახურე პირთა სასამ. გამოწვევით მოცდენის ანაზღაურების შესახებ.
- იურიდიული დახმარება
გიბლიოგრაფია
კანონმდებლობის მიმოხილვა
ოფიციალური ნაწილი

ხელისუფლებითა საყუჩაკაღლებით:

1. დააჩქარეთ თქვენი დავალიანების დაფარვა რედაქციისადმი.
2. თუ რაიმე მიზეზით, ჟურნალის რომელიმე ნომერი არ იქნეს მიღებული თავის დროზე — დაუყოვნებლივ გვაცნობეთ, სათანადო ზომების მისაღებად.
3. ჟურნალი გამოდის სისტემატიურად თვეში ორჯერ 15 და 30 რიცხვებში.


საქართველოს ს. ს. რ. იუსტსახ-
კომის გამომცემლობა.

დაიბეჭდა

საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის
საპროცესო კოდექსის

გ ა ზ რ კ ე ლ ე ბ ა

ფასი 20 კაპ.



34(05)

ს. 13.

ს ა ბ ჯ რ თ ა ს ა მ პ რ თ ა ლ ი

საქართველოს სოციალისტურ
საბჭოთა რესპუბლიკის
იუსტიციის სახალხო
კომისარიატის ორკვირეული
ყ უ რ ნ ა ლ ი

წელიწადი მმრკმ

№ 4



თეზავალი—1929 წ.

ტ ფ ი ლ ი ს ი

130, 148

812



პასუხისმგებელი რედაქტორი შ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი

სარედაქციო კოლეგია

- { ი. ტალახაძე
- { თ. ღოლიძე
- { ბ. ბერაძე
- { ვ. რ. უ. ნუცუბიძე
- { კონს. მიქელაძე
- { ევლ. ენუქიძე


ჩვენი მიღწევები და ამოცანები იუსტიციის დარგში საქართვე. გასაგებობის 8 წლის თავზე.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს პროლეტარიატმა დაამხო მენშე-ვიკების ბატონობა და დაამყარა საბჭოთა წესყობილება. ამ—ისტორიული თვალსაზრისით—მოკლე-ხნის განმავლობაში მუშათა და გლეხთა ფართო პროლეტარულმა მასებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შესძლო სოციალისტური აღმშენებლობის ღიანდაგზე გადაეყვანა სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დახვდა მენშევიკებისაგან გაძარცვული და გავერანებული ქვეყანა.

დღეს არავის არ შეუძლია უარყოს ის კოლოსალური მიღწევების ფაქტი, რომელიც ჩვენ გვაქვს: კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო-აღმშენებლობითი ფრონტებზე. შინაურ და გარეშე კონტრევოლიუციის დაძლევისთან ერთად, მოხდა პოლიტიკური ხელისუფლების მაქსიმალური სტაბილიზაცია და მუშათა კლასმა ფართოდ გაშალა შემოქმედებითი ენერჯია ახალი საზოგადოებრივობის ჩამოსაყალიბებლათ. ჩვენი განვლილი მუშაობა, მარტო პოლიტიკურ-ეკონომიურ და განათლების ფრონტებზე მიღწევებით არ ამოიწურება. ჩვენ გვაქვს უდავო წარმატებანი—სახალხო ჯანმრთელობის დაცვის, ფართო მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის, და მართველობის დარგშიც.

ის ციფრული მასალები, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, აშკარად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იუსტიციის ორგანო, როგორც მახვილი აპარატი გაბატონებული კლასის, ჭეშმარიტად ემსახურებოდა პროლეტარულ რევოლიუციის ინტერესებს და ამ მხრივ სათანადოდ შეასრულა ის როლი, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ დააკისრა მას. ჩვენს სასამართლო ორგანოებს, ს.განგებო კომისიებს (ახლა გ. ს. პ. ს.) და სამხედრო ტრიბუნალებს, რომლებიც მოქმედებდნენ სამოქალაქო ომების მეტად მძიმე მომენტში და რომლებიც დაწერილ კანონების მაგიერ რევოლიუციონური შეგნებით,—ჯანსაღი პროლეტარული ალლოთი ხელმძღვანელობდნენ—უსათუოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიაში.

1923 წლიდან შემოღებული იქნა ხმარებაში მატერიალური და პროცესუალური სამართლის კოდექსები, რომლებიც უმთავრესათ ახალ ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე უფლებრივ კონფლიქტების რეგულიაციას შეიცავს საბჭოთა სისტემის პრინციპების თვალსაზრისით. იწყება სისტემატიური მუშაობა იუსტიციის დარგის განსამტკიცებლათ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ გამოცემულ კანონებისა და დირექტივების საფუძველზე; სასამართლო ორგანოები ებრძვიან და მოწოდებულნიც არიან ამისათვის: კონტრევოლიუციონურ და პრო-



ლეტარულ სახელმწიფოს ძლიერებისათვის საშიშ დანაშაულობებთან ერთად ვიწრო კრიმინალურ და კერძო კაპიტალისტურ ურთიერთობის ტენდენციის ნიადაგზე წამოჭრილ ბოროტ-მოქმედებათ.

თუ როგორი წარმატებით ასრულებდა იუსტიციის ორგანოები აღნიშნულ საქმიანობას, ამას გვიჩვენებს სტატისტიკური ცნობები;

სასამართლოს დარბჯი. სახალხო სასამართლოებში საქმეთა მიმდინარეობა სხვადასხვა წლებში ასე გამოიხატება:

სხვა და სხვა წლებში	იჯა დაუშთავრებ.		შემოვიდა		დამთავრდა		დარჩა	
	სისხლის სამართლის	სამოქალაქო	სისხლის სამართლის	სამოქალაქო	სისხლის სამართლის	სამოქალაქო	სისხლის სამართლის	სამოქალაქო
	1	2	3	4	5	6	7	8
1925 წ.	7491	6826	43560	45703	32786	38704	18265	13825
1926 წ.	18265	13825	55214	68245	44848	63062	28631	19008
1927 წ.	28631	19008	51890	66230	70007	64716	10514	20522
1928 წ. (9 თვე)*)	10514	20522	30681	56226	25424	55644	15771	21104

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს: სისხლას სამართლის საქმეები წასულ წლებთან შედარებით თანდათანობით კლებულობს და ამავე დროს იზრდება სამოქ. საქმეთა რიცხვი. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან?

1. მოხდა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცება, რაც თავის მხრივ ანელებს და სპობს იმ ფაქტორებს, რომლებიც დანაშაულობრივ ქმედებათა მასაზრდოებელ ნიადაგს ქმნის.
2. პირველ რიგში წამოყენებულია ფართო სოციალისტური აღმშენებლობის გაშლა, რის გამო იზრდება სამეურნეო რესურსების გამოყენებისა და სარგებლობის ნიადაგზე წამოჭრილ უფლებათა კოლიზია (ბრძოლა კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტებს შორის).
3. ჩვენი სასამართლო ორგანოები უშვალოდაა დაკავშირებული პროლეტარულ მოსახლეობის მასებთან და ნამდვილათ იცავს მუშათა და გლეხთა კლასიურ ინტერესებს და ემსახურება მათ მოთხოვნილებათა უფლებრივ გარანტიის შექმნას.

რომ ეს დასკვნები უდავო ქვშმართებას შეიცავს ამას ადასტურებს ის ტაბულა, რომელიც სახ. სასამართლოებში შემოსულ სისხ. სამართლის საქმეთა ხასიათის მოძრაობას შეეხება.

*) უკანასკნელი კვარტალის ცნობები ხელთ არ გვაქვს.

სხვა და სხვა წლ.	შემოქმედდა სულ	ს ა ე რ თ ო რ ი ც ხ ვ ი დ ა ნ														
		მართველობის საწინააღმდეგო		თანამდებობრივი		სამეურნეო დარგის დანაშაული	პიროვნების საწინააღმდეგო				ქონებრივი			ხალხის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით. წესების დარღვევა	ხელოვნობა	გამოუტყვევებელი
		ს	შ	მ.	შ.		ს	შ	ლ	მ	შ	ლ	მ.			
						მითვისება-გაფლანგვა								მეჭრთამეობა	სხეულის დაზიანება და ძალადობა პიროვნების წინააღმდეგ	პირადი შეურაცყოფა
1925 წ.	43560	13828	908	—	—	2231	1670	—	11980	—	8193	144	6087	2021	—	306
1926 წ.	55214	20503	815	592	91	670	20395	4075	11852	94	10813	39	6851	1492	—	526
1927 წ.	51890	15920	960	727	136	477	20058	5137	12408	149	11188	218	6589	1535	1752	—
1928 წ. (9 თვე)	30681	7170	579	500	72	398	13254	3922	7787	158	7735	87	4395	453	905	187


ეს ოფიციალური ცნობები არ საჭიროებენ კომენტარიებს ზემოთ აღნიშნულ დებულებათა დასადასტურებლათ. აქ ჩვენ გვინდა მიუთითოდ ერთ მეტად დამახასიათებელი გარემოებას, სახელდობრ: უკანასკნელ დროის განმავლობაში სისხ. სამ. საქმეთა კლასიფიკაციის მიხედვით უფრო ხშირი შემთხვევები გვაქვს: პირადი შეურაცხოვის, მართველობის წესის საწ. დანაშაულობათა და ქონებრივიდან — ქურდობის. თუ შევადარებთ ცხრილში მოყვანილ სხვადასხვა წლების ციფრებს აშკარათ დავინახავთ, რომ: 1. დანაშაულობათა ყველა კატეგორია საგრძნობლათ შემცირდა.

2. მართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულობანი, რომლებიც ერთგვარი კოეფიციენტია ხელისუფლების პრესტიჟის საზომათ ორჯერ შემცირდა — 1926 წ. 20.503 შემთხვევა; 1927 წ. — 15.320 და 1928 წელში კი — 7.170-დღე დავიდა.

3. თუ ქონებრივ დანაშაულობათა მოძრაობა მიჩნეული იქნება მოსახლეობის ეკონომიურ კეთილდღეობის მაჩვენებლათ, მაშინ აქაც მეტად საგულისხმო ციფრები გვაქვს: ნაცვლად 11.188 შემთხვევისა, რომელსაც ადგილი ქონდა 1927 წ. ეს ბოროტმიქმედება შემცირებულა — 7.735-დღე.

4. ასეთივე პროპორციით კლებულობს ხალხის ჯარმრთელობის უზიშროების დაცვის წესების დარღვევაც; ნაცვლად 2.021, რომელსაც ადგილი ქონდა 1925 წ. — 453 შემთხვევა.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს: ა) საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის ამაღლება ფართო მოსახლეობის თვალში და მართლმსაჯულებისა და კანონ-



იერების შეჭრა ფართო მასების უფლებრივ შემეცნებაში; ბ) ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის ზრდა და საწარმოვო ძალთა სწრაფი განვითარება.

ახლა შევჩერდეთ იმ საკითხზე, თუ როგორ მიმდინარეობდა სახ. სასამართლოების მიერ, რევკანონების განხორციელების მიზნით, სოციალურ დაცვის ღონისძიებათა შეფარდება—დამნაშავე სუბიექტებზე. ოთხი წლის სტატისტიკური ცნობები ამ საკითხზე ასეთია:

სხვა და სხვა წლებში	საერთო რიცხვი მსჯავრდადებულთა	საერთო რიცხვი					პირობითი სასჯელი	გამოუკვეთილი
		თავისუფლ. აღკვეთა		იძულებითი მუშაობა	ჯ ა რ ი მ ა	საზოგადოებრივი გაკატნვა		
		განკალმე-ვებით	განკალმე-ბისუფლებლ.					
1925 წ.	15718	255	3449	1865	7661	462	1988	38
1926 წ.	16952	264	4524	1576	7860	337	2391	—
1927 წ.	12212	292	4049	904	4697	235	1975	—
1928 წ.*) (9 თვეში)	6959	126	3329	606	1617	65	1210	—

რომ არ ვილაპარაკოთ გასული წლების შესახებ და მხოლოდ 1928 წლის ცნობებზე შევჩერდეთ, დაინახავთ, რომ მსჯავრდადებულთა საერთო რიცხვიდან—6953—პირობითი სასჯელი დაედო 1210 ბრალდებულს; გააკიცხა—65 და ჯარიმა—1617; აქედან აშკარად სჩანს: 1. თუ რამდენათ ღმობიერათ ეკიდება დამნაშავეებს პროლეტარული სასამართლო, წინააღმდეგ კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებულ რეჟიმისა 2. საბჭოთა სასამართლო ორგანოები ყოველგვარ უფლებრივ ღონისძიებას მიმართავს, რათა დამნაშავენი გამოსწორებულნი იქნენ და დაუბრუნდნენ ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, შეეჩვიონ და შეეგუონ შრომითი ცხოვრების პირობებს.

გამასწორებელი სახლები ჩვენში—წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნების და თვითმპყრობელობის რეჟიმის ციხეებისა—წარმოადგენს ნამდვილ აღმზრდელობით პუნქტს, სადაც სოციალურად მავნე ელემენტები საზოგადოების ნორმალურ წევრებათ ხდებიან, იმ ჰუმანიური მეთოდების ზედგავლენით, რასაც ხელისუფლება ანხორციელებს პატიმართა მიმართ. მტაცებელ ბურჟუაზიას და მის მაჩანჩალა უხასიათო წვრილფეხა ე. წ. „სოციალისტებს“ კარგათ უნდა ახსოვდეთ ზემოთ აღნიშნული გარემოებანი, როცა ბუღვალურ პრესის შეთითხნილ ფურცლებზე როსკიპული ცინიზმით იღრიჭებიან ჩვენი სასამართლო ორგანოების სისასტიკეზე. დიახ, ჩვენ სასტიკი ვართ კლასიურ მტრების წინააღმდეგ, საუკეთესო მერმისის და პროლეტარული რევოლიუციის ინტერესების სახელით. თეთრი ტერორის ავტორებს და მუშათა კლასი ინკვიზიტორებს ეს კარგად უნდა ახსოვდეთ!

*) უკანასკნელი კვარტალის ცნობები არაა.

დასასრულ, სასამართლო ორგანოების განვლილ მუშაობის მთლიანად წარმოდგენისათვის გავეცნოთ ოლქის (ახლა—მაზრის) და უზენაეს სასამართლოების მე-2-რე ინსტ. სამოქალაქო და სისხ. სამართლის საქმეთა მიმდინარეობას.

წლები	სხვა და სხვა ერთეულები და სასამართლოები	საქმეთა მიმდინარეობა		სულ დამთავრდა			სისხლის სამართლის დამთავრდა			საქმეთა მიმდინარეობა		
		სულ დამთავრდა	გადაწყვეტ. დამტკიცდა	გაუქმდა	გადაწყვეტ. დამტკიცდა	გაუქმდა	საერთო დამთავრ. საქმ. შეზღ. იყო საქს. სხ. ახეთ საქმ. % მიმართება სხ. სას. დამთ. საქმეებთ.	სულ დამთავრდა	გადაწყვეტ. დამტკიცდა	გაუქმდა	საერთოდ დამთავრ. საქმ. შეზღ. იყო საქს. სხ. ახეთ საქმ. % მიმართება სხ. სას. დამთ. საქმეებთ.	
1925 წ.	აღმოსავლეთ საქართველო	3459	59,0	41,0	—	—	1285	55,2	44,8	—	—	
	დასავლეთ საქართველო	1307	58,5	41,5	—	—	1014	50,7	49,3	—	—	
	სულ საქართველოში	4766	58,9	41,1	4830	12,5	2299	53,1	46,9	2443	7,4	
1926 წ.	აღმოსავლეთ საქართველო	3676	68,7	31,7	—	—	1999	56,6	43,4	—	—	
	დასავლეთ საქართველო	2040	59,7	40,3	—	—	1989	57,8	42,2	—	—	
	სულ საქართველოში	5716	65,3	34,7	5871	9,3	3988	57,6	42,4	3875	8,6	
1927 წ.	აღმოსავლეთ საქართველო	3824	68,1	31,9	—	—	1972	69,1	30,9	—	—	
	დასავლეთ საქართველო	1876	61,0	39,0	—	—	1813	78,2	21,8	—	—	
	სულ საქართველოში	5700	65,7	35,4	6250	9,7	3785	73,6	26,4	3677	5,3	
1928 წ.	უზნის სასამართლოები	7604	75,9	24,1	5552	9,9	2851	77,0	33,0	2129	8,3	
	მაზრის სასამართლოები	256	73,8	26,2	184	24,7	454	62,9	37,	337	9,9	

შენიშვნა: 28 წელში საკასაციო შემთხვევათა გამოხატულება აღებულია წლის პირ. 9 თვის.

ეს ციფრები აშკარათ მეტყველებენ, რომ: 1. გაიზარდა სასამართლო მუშაკთა კვალიფიკაცია და სტაჟი. 2. უზენაეს სასამართლო ენერგიულ და დროულ ხელმძღვანელობას უწევს დაქვემდებარებულ ორგანოებს. 3. მიუხედავად სხვა და სხვა ტერიტორიალურ პირობათა სხვაობისა ხდება განმტკიცება უფლებრივ შედეგების და რეკვანონიერების ერთობლიობისა.

პროკურატურის დარღობი. პროკურატურის ინსტიტუტი დაარსებული იქნა ჩვენში სრულ. საქ. ც. ა. კ. დადგენილებით 1922 წ. 7 ნოემბერს. 1923 წ. თებერვლიდან უკვე ფაქტიურათ მოქმედებს პროკურატურა, როგორც რევოლიუციონური კანონიერების დარაჯი. პროკურატურის იერარქიული სტრუქტურა პირველ ხანებში ასეთი იყო: რესპუბლიკის პროკურორი (იგივე იუსტ. სახ. კომისარი) მისი თანაშემწე და საპროკურორო განყოფილება, როგორც ზედამხედველობის გამწვევი კანონიერების გატარების ყველა დარგში; მაზრებში—პროკურორის თანაშემწე (ტფილისში და ქუთაისში უზნის პროკურორის თანაშემწე),

რომლებიც ემორჩილებოდნენ ოლქის პროკურორს (ოლქის პროკურორები მისავლეთ და დასავლეთ საქართველოსი თავის მხრივ ემორჩილებოდა ცენტრალურ პროკურატურას).

1927 წ. 27 თებერ. გაუქმებულ იქნა მაზრის და უბნის პროკ. თანაშემწეების თანამდებობა და დაწესდა: ქალაქის უბნის და მაზრის პროკურატურა. 1927 წ. ნოემ. თვეში ოლქის სასამართლოების რეორგანიზაციასთან ერთად გაუქმებულ იქნა ოლქის პროკურატურის თანამდებობაც.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის ინსტიტუტს სულ ექვსი წლის ისტორია გააჩნია ჩვენში, მან მაინც შესძლო იმ რთული და ძნელი ამოცანების შესრულება, რაც ხელისუფლებამ დააკისრა მას. პროკურატურის როლი განისაზღვრება, არა მარტო სასამართლო სხდომებზე ბრალმდებელის როლში გამოსვლით, არამედ კანონიერების ერთგვარი გაგების განმტკიცებისა და გატარების საქმეში მთელი რესპუბლიკის მაშტაბით.

მარტო 1927/28 წლებში საპროკურატურო განყოფილებაში შემოვიდა—8892 საქმე. აქედან წარმოებით მოსპობილ იქნა—7.203; მომკვლევ ორგანოებს დაუბრუნდა—470; წინასწარ გამოძიებისათვის გადაეცა—731.

საგამომძიებლო ორგანოებიდან შემოსული დამთავრებული საქმე უდრის—4.844. აქედან საბრალმდებლო დასკვნით განსახილველათ წარიგზავნა—2.346. 2.498 კი მოსპობილ იქნა. დამატებით გამოძიების მოსახდენათ გამომძიებლებს დაუბრუნდა—554 საქმე.

გამწესრიგებელ და საჯარო სხდომებზე პროკურატურამ მონაწილეობა მიიღო 690-ჯერ და მხარი არ დაუჭირა 62 ბრალდებას. შეტანილია საკასაციო და კერძო პროტესტი 136; ზედამხედველობის წესით გამოთხოვილ საქმეებზე დაწერილია 31 პროტესტი.

სამოქალაქო საქმეში პროკურატურამ მიიღო მონაწილეობა 34-ჯერ სასამარ. ინციპტივით და 16-ჯერ თავის თაოსნობით; სასამართლო-საადგილმამულო კოლეგიაში—13 ჯერ, საპატიმრო ადგილების დათვალიერება მოხდა 320-ჯერ. პატიმრებიდან მიღებულია 1.613 განცხადება, საიდანაც მსვლელობა მიეცა 1.500.

პროკურატურამ მონაწილეობა მიიღო აღმასკომის სხდომებზე 133-ჯერ და მისცა მითითებანი მაზრათემის აღმასკომებს 96-ჯერ.

მაზრის პროკურატურის მიერ მოწვეული იყო 25 თათბირი, სადაც განხილულ იქნა საკითხები: მიწის ყიდვა-გაყიდვის, რევკანონიერების გატარების, კოოპერაციის და გლეხკომების დანიშნულების შესახებ. პრესაში გამოქვეყნებულ ცნობების შესახებ პროკურატურამ მოახდინა 153 მოკვლევა.

სასამართლოს აღმასრულებელთა საქმიანობა.

1927/28 წ. განმავლობაში შემოსული აღმასრულებელი ფურცლების რაოდენობა უდრის 18.165; აქედან დამთავრებულია 13.588.

დამცველთა კოლეგია.

1928 წ. 1 ოქტ. დამცველთა კოლეგიის წევრთა რიცხვი 383 კაცს უდრის. აქედან 14 კ. პ. წევრია. სახელმწიფო დაცვის რაოდენობა საანგარიშო პერიოდში ტფილისში იყო 1.329, მაზრებში კი—567. ამჟამად ტფილისში არსებობს 8 საკონსულტაციო კამერა; დახმარება გაეწია 4.349 მოქალაქეს.

პირადი შემადგენლობის ზოგიერთი ცნობები ასეთია:

უზენაეს სასამართლოს შექმნა—სულ 18 მომუშავე. აქედან კომუნისტი—15;

მაზრის მოსამართლეები სულ—10; აქედან კომუნისტი—8.

ი. ს. კ. პროკურორები—4. კომუნისტი—3; მაზრის პროკურორები სულ 19, აქედან კომუნისტი—16. შრომის, საბინაო და პ/სამ. პროკურორები სულ 3.

გამომძიებლები—სულ (ი. ს. კ.) 4. აქედან 2 კომუნისტი. უბნების—46;

შრომის საქმეთა გამომძიებელი—1;

უბნის მოსამართლენი—88.

სასამართლოს აღმასრულებელი—53. საკრედიტო საქმეთა აღმასრულებელი—25.

ამ რიგით წარსულ წელთან შედარებით აპარატის რაციონალიზაციისა და კომუნიზაციის საქმეშიც გვაქვს უღაო მიხვევები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის შემოქმედებითი ხასიათის ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს ი. ს. კ. საკანონმდებლო, საგამომცემლო და სხვა დაქვემდებარებულ ორგანოებში.

განვილო მუშაობის მოკლე მიმოხილვა ჩვენ წინაშე უახლოეს დროში აყენებს შემდეგ ამოცანებს:

1. სისხლისა და სამ. სამართლის პროცესების გადამუშავება გამარტივება ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ვითარებასთან შეფარდებით.

2. დამსჯელ და სამეურნეო (კერძო—მიწის) მატერიალურ სამართლის კოდექსების გადამუშავება სოციალისტური არმშენებლობის თანამედროვე პირობების მიხედვით.

3. სასამართლო ორგანოების თანამშრომელთა იურიდიული კვალიფიკაციისა და სტაჟის აწევა და მუშათა მეტი პროცენტის ჩაბმა აღნიშნულ აპარატში.

4. დამკვეთთა კოლეგიის რეორგანიზაცია, ამ უკანასკნელის კოლექტივიზაციის პრინციპზე აგება და ამით ფართო მოსახლეობის იურიდიულ დახმარების საქმის რაციონალურად დაყენება.

5. პროკურატურის ინსტრუქციის ყოველმხრივი გაძლიერება, სათანადო კვალიფიკაციის და სტაჟიან მუშაკების შერჩევით.

6. სასამართლოს აღმასრულებელთა აპარატის რაციონალიზაცია.

7. მტკიცე კურსის აღება მასიურ იურიდიულ ლიტერატურის გამოცემის საქმეში და ამით მოსახლეობის უფლებრივი შეგნების ამაღლება.

8. შეუწყვეტელი ბრძოლის წარმოება ისეთ დანაშაულობათა მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან სოციალისტურ აღმშენებლობის ფართო გაშლას (რევკანონიერების გადამახინჯება, ბიუროკრატიზმი, მფლანგველობა, უყაირათობა, მევახშეობა და სხვ.).

9. ტფ. სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხელმძღვანელებთან დამოკიდებულების მოწესრიგება იმის შესახებ, თუ როგორი სახის მუშაკებს უნდა აწვდიდეს იუსტიციის ორგანოების უმაღლესი სასწავლებელი.

10. ძირითად აპარატში მომუშავეთა სათანადო უზრუნველყოფა ხელფასით.



11. ფართო პროლეტარული მასების ჩაბმის უზრუნველყოფა სახელმწიფო მართველობის აპარატში და რევოლუციონური კანონიერების სასტიკი და შეურყეველი გატარება.

განვიღო მუშაობის პრაქტიკა მდიდარ მასალას იძლევა აღნიშნულ ამოცანების გადასაჭრელათ და ჩვენ დაბიჯებით გვწამს, რომ საბჭოთა საქართველოს მე-9 წლის თავზე რევოლუციონურ კანონიერების გაშლილი დროში წაერსდგებით ხელისუფლების, პარტიის და ფართო მუშურ-გლეხურ მასების წინაშე.

გლეხობის ძირითად მასებთან შეკარშირებული მუშათა კლასის ერთ სულოვანი ღონისძიებებით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ დავსძლევთ ყველა იმ სიძნელეს, რომელიც გვხვდება სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ს. ჭავთარაძე

სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების პოლიტიკის უმსახებ*.

იუსტისკომისარიატის და შინაგან საქმეთა სახკომისარიატის წინაშე დღეს მორიგ ამოცანად სდვას სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების მომქმედი კანონების გედასინჯვა და მოწესრიგება. რ. ს. ფ. ს. რ-ის ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბკომ ამ საკითხის შესახებ 17/IV--28 წ. გამოიტანა თავის დადგენილება (იხ. ჟურნალი „საბჭოთა იუსტიციის ყოველკვირეული“ № 14), სადაც აღნიშნავს აუცილებელ საჭიროებას, სისხლის სამ. და შრომა-გასწორების კოდექებში ძირითადი შესწორების შეტანისას.

ჩვენშიც ასეთი სახით უნდა დაისვას ეს საკითხი და ახლო მომავალში ის უნდა იქნეს განხილული და ჩამოყალიბებული მისი სისწორით გაგების და ცხოვრებაში რეალურათ გატარების მიხნით. ამ ხაზით მომქმედი კანონების ძირითადი საფუძკლას მიხედვით ჩვენ არ ვითვალისწინებთ დანაშაულისათვის სამაგიეროს გადახდას, შურისძიებას, დასჯას, ან ადამიანის ფიზიკურ ტანჯვას ან მისი ღირსების დამცირებას. პირიქით, სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების მიზანია: დანაშაულის წინასწარი აცდენა, საზოგადოებრივად საშიში ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობა და მსჯავრდადებულის გამოსწორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და მისი შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებისათვის. პრაქტიკაში დღემდე წარმოებული სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების პოლიტიკა სათანადოთ ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას.

* წინადადების სახით.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით 1927—28 საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო სასამართლოების მიერ სოციალური დაცვის ღონისძიება თავისუფლების აღკვეთით არჩეული აქვს 4,174 „იძულებითი მუშაობა“, 89 „სახოგადობრივი განკიცხვა“ 99 და სხვა სახის სოც. დაცვის ღონისძიებანი 246.

თავისუფლების აღკვეთით სოციალური დაცვის ღონისძიებებიდან 40,1 პროცენტადგენს მცირე ვადიანი თავისუფლების აღკვეთას—ერთ წლამდე, რაც ამტკიცებს სისხლ. სამართლის პოლიტიკის არა სათანადოთ გატარებას. სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდების მაზანი კანონმდებლობას მიერ ნათლად არის აღნიშნული სისხლის სამ. კოდ. ზოგადი ნაწილის კარი 3, მუხ. 7-ში. აკრეთვე ამავე ნაწილის კარი 5 და 6 მუხ-ში 42.44 და 49-ში, სრულად მართლად და მკაფიოდ არის ნათქვამი თუ რა უნდა მიიღოს მხედველობაში და რა უნდა გამოარკვიოს სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიების არჩევის დროს. აკრეთვე ზოგადი ნაწილის 20-ე მუხ-ში ჩამოთვლილია 12 სახის სოც. დაცვ. ღონისძიებანი, მაგრამ სინამდვილეში გარდა მცირე გამოწკისისა, რეკლამების, პროფესიონალების, სოციალურად საშიში ელემენტები და შეპოპუკით კანონიერების დამრღვევთა მიმართ მიღებული არის ერთი ზომა სოცდაცვისა,—თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრული ვადით, ჩადენილი ქმედობის სიმძიმესთან შედარებით, რაც ვერ ეფარდება სისხლის სამართლის ძარათად პრინციპებს და არაპირდაპირ გამოხატავს არა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ თავდაცვას, არამედ დანაშაულის სიმძიმის მიხედვით სამაგიერო სასჯელის დადებას.

ერთი მხრივ სასამართლო შებოკვილია იმოქმედოს განსაზღვრულ კანონით ნაჩვენებ ფარგლებში და მეორეს მხრივ კი თუ შეიძლება ასე ითქვას თვით სასამართლოს მხრივ სისხლის სამართლის პოლიტიკის ნათლად წარმოუდგენლობის გამო არ ხდება გამოყენება ს. ს. კოდ. იმ მუხლებისა, რომლითაც მას უფლება ეძლევა იმოქმედოს აუცილებლობის და მაზანმეწონილების თვალსაზრისით როგორც ამას აღნიშნავს თავის მოხსენების თეზისებში ანხ. კროლენკო (იხ. „საბჭოთა იუსტიციის ყოველკვირეული“ № 46—47—28 წ.). არ შეიძლება გამართლებულ იქნას პრაქტიკაში მოქმედი სისხლის სამართლის კოდ. დებულებათა რომლითაც დამნაშავეს, რომელმაც ჩადინა ქურდობა რკინის გზის სადგურის ტერიტორიაზე უნდა დაედოს უფრო მძიმე სოც. დაცვის ღონისძიება, ვიდრე, სხვა ადგილზე ისეთივე ქმედობის ჩადენს. (იხ. ს. ს. კოდ. 177 მ. „ა“, „დ“, „ბ“, პ.) ან განზრახ მკვლელობისათვის უნდა აერჩიოს 10 წელი, ხოლო შეურაცყოფის ზეგავლენით მკვლელობისათვის 5 წ-დე. ასეთი შეზავება სისხლის სამ. კოდ. ცალ-ცალკე მუხ-ს როგორც ეს ზემოთ აღნიშნე სასამართლოს აყენებს განსაზღვრულ ფარგლებში.

სასამართლოს არ აქვს უფლება აღამატოს განსაზღვრული სოციალური დაცვის ღონისძიებების რაოდენობა თუ გინდ დამნაშავე ან ჩადენილი დანაშაულობა იყოს მეტად საშიში და სოციალურად მავნე სახელმწიფო და საზოგადოებისათვის. მაგ. სასამართლოს არ შეუძლია აურჩიოს 1 წ-ზე მეტი თავისუფლების აღკვეთა ან სხვა სახის სოციალური დაცვის ღონისძიება ისეთი ხასიათის დანაშაულობაზე, როგორც არის გათვალისწინებული ხ. ს. კოდ. 187 მ. ე. ი. ფალ-

სიფიკაცია-ანგარებით და მოსატყუებლად ისეთი საგნების სახით ან თვისების შეცვლა, რაც გასასაღებელი ან საყოველთაოდ სახმარებელია, და თვით ამ საგნების გასაღებაზე, თუგინდ ბრალდებულს ეს ხელობად ჰქონდეს გადაქცეული ან ამდაგვარი დანაშაულობაზე არა ერთხელ იყოს გასამართლებული. ზემოხსენებული ხასიათის დანაშაული ჩემის აზრით წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროების ხასიათის დანაშაულობას. აქედან ნათელია ის, რომ მოსაზრება, გატარებული მომქმედ სისხლის სამართლის კოდექსის ცალ-ცალკე მუხ-ზე მინიმალური და მაქსიმალური დაცვის ღონისძიებათა დადების შესახებ—არ შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს აღიარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითად პრინციპების თვალსაზრისით, რომლის მიზანია: სახელმწიფოს და საზოგადოების თავდაცვა და დამნაშავეის გამოსწორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და მისი შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს ცხოვრების საერთო პირობებს. განსაზღვრულ განაჩენი ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას მთლიანად, რადგან როგორც მსჯავრდადებულმა, ისე საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეებმა იციან არსებობა შრომა-გასწორების კოდექსისა, რომლის მიხედვით მსჯავრდადებულს დადებული სოც. დაც. ღონისძიება უნახევრდება და ის ვადამდე თავისუფლება. აღნიშნული გარემოების გამო არა ერთი შემთხვევაა, როდესაც დამნაშავეს სასამართლოში უფარდებენ მაქსიმალური სოც. დაც. ღონისძიებას ამ მოსაზრებით რომ ცოტათი მაინც მოუხდეს მსჯავრდადებულს გამსახლში ყოფნა. სასამართლოს პრაქტიკაში ზოგჯერ არ არის დაცული წონასწორობა სოც. დაც. ღონისძიების არჩევის დროს, ერთი და იმავე ხასიათის დანაშაულობაზე ერთი და იგივე სოციალურ დამნაშავეებს ეფარდება სხვადასხვა რაოდენობის სოც. დაც. ღონისძიება, მაგ. უბრალო ქურდობისათვის ერთს ორი კვირა, მეორეს 2 თვე თავისუფლების აღკვეთა. აქ უნდა დაისვას საკითხი შეუძლია თუ არა სასამართლომ წინასწარ გაითვალისწინოს თუ რამდენ ხანში შეიძლება გამოსწორდეს ესა თუ ის დამნაშავე. ჩემის აზრით სასამართლოს ამის საშუალება არა აქვს. სასამართლო მხოლოდ პროცესის დროს ხედავს დამნაშავეს და იმ მოკლე ხანში შეუძლებელია დამნაშავეის და საერთოდ პიროვნების შესწავლა, რათა წინასწარ დაესვას დიაგნოზი თუ რამდენი დრო დასჭირდება მის გამოსწორებას და შრომითი ცხოვრების შეგუებას. სასამართლოს შეუძლია აღნიშნოს თუ რა სახის სოციალური დაცვის ღონისძიებაა საჭირო დამნაშავეის გამოსასწორებლად, თუ კი შეიძლება საერთოდ მისი გამოსწორება, ხოლო თუ რამდენი დრო დასჭირდება მას, ეს შეიძლება გამოირკვეს დამნაშავეის პიროვნების დაწვრილებით და ყოველმხრივ შესწავლის და მის ხანგრძლივი ექიმობის შემდეგ. მსჯავრდადებულის ყოველდღიურ ცხოვრებას უნდა ედევნოს განუწყვეტლივ თვალყური და მხოლოდ ასეთი დაკვირვების და მის შესწავლის შემდეგ შეიძლება ითქვას თუ როდის გამოსწორდება იგი. ზემოთ მე ხაზი გაუსვი დამნაშავეთა კატეგორიას, რომლის გამოსწორება შეიძლება, ეს იმითომ, რომ შემცდარი იქნება აზრი თუ კი ჩვენ ყველა კატეგორიის და ჯურის დამნაშავეებს ერთდა იმავე დროის პერიოდში მიუღდებით გამოსწორების თვალსაზრისით.

ჩვენს პრაქტიკაში დღიდან გასაბჭოებისა ტფილისის გამსახლის ცნობით რეციდივის გამოსწორებას მხოლოდ 2 შემთხვევა ჰქონია, რაც ერთგვარ დამაფი-

ქრებელ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს სისხ. სამართ- პოლიტიკის წარმოებისათვის. ამის გამო განუსაზღვრელი განაჩენის სისტემის შემოღება საბჭოთა სახელმწიფოში სადაც სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების პოლიტიკას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი თავდაცვა საშიში ელემენტებისაგან და მეორეს მხრივ დამნაშავეთა გამოსწორება შრომა-გასწორების ზეგავლენით და მათი შეგუება მშრომელთა სახელმწიფოს საერთო ცხოვრების პირობებზე ცნობილ უნდა იქნას სწორი პოლიტიკათ. იდეა უვადო განაჩენებისა არ არის ახალი, მას აქვს თავისი ასეული წლების ისტორია. მე-XVIII საკ. უვადო განაჩენი შემოღებული იქნა პრუსიაში და ბავარიაში XIX საკ. მეორე ნახევარში ამ იდეამ მიიღო კანონმდებლობითი ხასიათი ზოგიერთ ამერიკის სატახტო ქალაქებში, 1910 წ. ვაშინგტონის პენიტენციალურ კონგრესის მიერ უვადო განაჩენის სისტემა ცნობილი იქნა მეცნიერების პრინციპად და ამის შემდეგ მის შემოღებამ ევროპაში მიიღო უფრო ფართო ხასიათი. ასეთ სისტემის განაჩენის შევლება ჩვენ გვაძლევს შეძლებას, რათა რეალურად იქნეს გატარებული ცხოვრებაში სისხლის სამართლის პოლიტიკა და არა მექანიკურად შეუფარდებს დამნაშავეებს შეღავათებს და გაანთავისუფლებს მას დადებული სოც. დაცვის ღონისძიების მოხდინადან, როგორც ეს დღევანდელი სინამდვილეში ხდება. ამ სისტემის დროს რეციდ-პროფესიონალი ვერ შესძლებს სულ მოკლე ხანში თავისუფლად ყოფნას, მას მოუხდება გამსახლში ზედამხედველობის ქვეშ ყოფნა მანამ, სანამ ის არ მოგვცემს სრულ რწმენას მისი გამოსწორებისას. ამასთან ერთად უნდა იქნეს უარყოფილი შეზავება ცალ-ცალკე ს. ს. კოდ. მუხ-ს და უნდა იქნეს შემოღებული საერთო მინიმალური და მაქსიმალური ვადა თავისუფლების აღკვეთისა და დამნაშავეთა სამი კატეგორიებად დაყოფა. დამნაშავეთა პირველ კატეგორიაში მოქცეული უნდა იქნენ საბჭოთა ხელისუფლების კლასიური მტრები და კონტრრევოლუციონური მოქმედებანი, მიმართული საბჭოთა ხელისუფლების დასამხობლად და მის ეკონომიურ აღორძინების და განმტკიცების შესარკევად. მეორე კატეგორიაში უნდა მოექცენ დანაშაულობანი, ჩადენილი პროფესიონალისტების რეციდივების, დეკლასიური ელემენტების და განსაკუთრებით სახელმწიფო საზოგადოებრივ საშიშ ხასიათის დანაშაულებანი, როგორიცაა გაფლანგვა, ყაჩილობა, მკვლელობა, მუშა საქონლის ქურდობა და სხვა. მესამე კატეგორიაში ყველა დანარჩენი დანაშაულობანი, ჩადენილი პირველად სოციალურად არა მტკიცე ელემენტების მიერ, ან დანაშაული, ჩადენილი პირად, ოჯახურ და სხვა გარემოებისა გამო ან ჩადენილი რევკანონიერების შემთხვევით დამრღვევლების მიერ.

ზემოჩამოთვლილი კატეგორიათა დამნაშავეების წინააღმდეგ სახელმწიფოს და საზოგადოებრივ თავდაცვის თვალსაზრისით უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სოციალური დაცვის ღონისძიებანი: მიმართ I და II კატეგორიათა დამნაშავეებისა თავისუფლების აღკვეთა, რომლებსაც საერთოდ მიღებული მინიმალური ვადა თავისუფლების აღკვეთის უკლებლივ უნდა დაეყონ გამსახლში. ხოლო გამოუსწორებელი და სოციალურად უაღრესად საშიში ელემენტების მიმართ დაშვებული უნდა იქნეს ფიზიკური განადგურება, „დახვრეტა“, რაც შეეხება მე-III კატეგორიის დამნაშავეთა მიმართ, როგორც სოციალურად არა დიდათ საშიში და შემთხვევით დამრღველნი რევოლუციონური კანონიერებისა მიღებული უნდა

იქნეს სხვა სახის სოც. დაცვის ღონისძიებანი, როგორცაა იძულებითი მუშაობა-ჯარიმა, გაკიცხვა უფლების აყრა და სხვა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიხედვით ადგილის და ჩადენილი დანაშაულისა, შესაძლებელია დაშვებული იქნეს თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ასეთი უნდა მოხდეს მხოლოდ აუცილებლად საჭიროების და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით სათანადო დასაბუთებული სასამ. განაჩენით. აი ამ პრინციპზე აგებული განაჩენი იქნება რეალური, შეგუებული სისხლის სამართლის და შრომა-გასწორების პოლიტიკასთან და ის მოგვცემს სრული გარანტიას მისი სავსებით ცხოვრებაში გატარებისას. ასეთი მეთოდით და სისტემით ჩვენი პოლიტიკა უზრუნველყოფილი იქნება და მივალწევთ ნაყოფიერ შედეგს.

დაუნდობელი ბოძოლა გამოუცხადოთ: ბიუროკრატიზმს, საქმის გაკიანურებას, უმოდრობას და უყურადღებო დამოკიდებულებას პროლეტარიატის, ღარიბი და საშვალო გლეხობის და მოჯამაგირეთა მასების მოთხოვნილებებისა და საჭიროებისადმი.

ი. რიონაშვილი.

სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსის შესახებ. *)

პროცესის შემდეგ სტადიას წარმოადგენს შემდეგი წარმართვა ისეთი საქმეების, რომელთა წინასწარი კვლევა-ძიება დამთავრებულია. პროცესის ამ სტადიაში ორ მომენტს აქვს არსებითი მნიშვნელობა, პროცესის გამარტივებისა და საქმის მსვლელობის დაჩქარების თვალსაზრისით: ერთის მხრივ, პროკურორის ფუნქციების გადაცემა გამომძიებელთათვის ისეთ საქმეთა წარმართვის დარგში, რომელთა წინასწარი კვლევა-ძიება დამთავრებულია მოკვლევის ორგანოების მიერ (სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოების გარდა) და, მეორეს მხრივ, ისეთ საქმეების მოსპობის ფუნქციების მთლიანად გადაცემა პროკურატურისათვის, რომელთა წარმოება დამთავრებულია წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში, რომ წინასწარი კვლევა-ძიების წარმოების დროს ზედმედველ ორგანოს გამომძიებელთა მიმართ წარმოადგენს პროკურატურა, ხოლო კვლევა-ძიების დანარჩენ ორგანოთა მიმართ — გამომძიებლები. ასეთი მდგომარეობის სრულიად ლოლიურ განვითარებას წარმოადგენს ისეთი წესი, როდესაც კვლევა-ძიების ორგანოები წარუმართავენ საქმეს ზედამხედველობის სათანადო ორგანოს. ცხადია, რომ ასეთი წესი პრაქ-

*) დასაწყისი. — „საბ. სამართ“ № 1—1929 წ.

ტიკულადაც მიზანშეწონილია, რადგანაც საქმის წარმართვა იმ ორგანოსათვის, რომლის მოვალეობასაც შეადგენს მეთვალყურეობა ამ საქმის წინასწარი კვლევა-ძიებისათვის, რის გამოც იგი, ექვს გარეშეა, კარგათ იცნობს საქმეს, უთუოდ დააჩქარებს ამ საქმის შემდგომ მსვლელობას ხოლო, მეორეს მხრივ, პროკურატურის ორგანოებს განტვირთვას, თუ მივიღებთ მხედველობაში მათი ფუნქციების მრავალგვარობას, უთუოდ დადებითად უნდა იქნეს შეფასებული როგორც საქმის შემდგომი მსვლელობის დაჩქარების, ისე მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

უფრო მნიშვნელოვან ცვლილებად უნდა ჩაითვალოს საქმეების მოსპობის ფუნქციის გადმოცემა პროკურორისათვის, სახელდობრ, ისეთი საქმეების, რომელთა წინასწარ კვლევა-ძიებას გამოძიებლები აწარმოებდნენ.

ჯერ კიდევ 1926 წელში საქართველოს ს. ს. რ.-ის სისხ. სამ. საპრ. კოდექსში შეტანილ იქნა დებულება, რომლის ძალით საძარბაღში მიცემის ფუნქცია აღარ შეადგენდა სასამართლოს კომპეტენციას და გადაეცა პროკურატურას. თავის დროზე ამან დიდი კამათი გამოიწვია და სასამართლოს მუშაკნი დაიყვნენ ორ ჯგუფად. მოსამართლეთა უმეტესობა ძველი წესის შენარჩუნების მომხრე იყო, ხოლო დანარჩენები დაადგენ ახალ თვალსაზრისს. 1927 წელს აღნიშნული წესი შემოიღო უკრაინამაც, ხოლო ამ ქვეყანაში ამჟამად ადვია რ. ს. ფ. ს. რ.-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. ახალი პროექტი. მაგრამ უკრაინაც და რ. ს. ფ. ს. რ.-იც ვაცილებით უფრო შორს წაყვდნენ ამ მიმართულებით საქართველოსთან შედარებით და სამართალში მიცემის ფუნქციასთან ერთად გადასცეს პროკურორს საქმის მოსპობის ფუნქციაც და ეს ფუნქციები, როგორც ჩვენ ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, გაანაწილეს გამოძიებლებსა და პროკურორებს შორის. სასურველია, რომ ასეთი სისტემა ჩვენ მიერაც იქნეს მიღებული ამ ქვეყანაში და გაძლიერებულ იქნეს პროკურორის როლი საქმის წარმართვის სტადიაში მისი წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ და ეს ფუნქციები ზოგიერთ საქმეზე გადაეცეს გამოძიებლებს.

მაგრამ აქ აღსანიშნავია შემდეგი: სამართალში მიცემის და აგრეთვე საქმის მოსპობისა და შეჩერების დარგში ყველა ფუნქციის გამოძიებელთა და პროკურორებისათვის გადაცემასთან დაკავშირებით საკითხი დგება იმის შესახებ, თუ რამდენად საჭირო იქნება სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომების შენარჩუნება. მართლაც ყველა ის საკითხი, რომელიც იბადება ამ ქვეყანაში სასამართლოში საქმის გამოსვლასთან დაკავშირებით, თუ გამოვაცლებთ სასამართლოში მიცემისა და საქმის მოსპობას, ყველა ეს საკითხები, როგორცაა, მაგალითად, ახალი მოწმეების დაბარება მხარეების თხოვნით, დამცველუს დაშვება და სხვ. თამამად შეიძლება გადაჭრილ იქნეს სახალხო მოსამართლის ან სასამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნული ხელისუფლებით, რაც საგრძნობლად გაამარტივებს პროცესს. ამ მხრივ უკრაინის სისხ. სამ. საპრ. კოდ. აგებულია მტკიცე ლოგიურ საფუძველზე და ამ კოდექსით სრულიად გაუქმებულია სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომები, ხოლო სასამართლოსათვის მოსამზადებელი ყველა მოქმედება შეადგენს ერთპიროვნულ მოსამართლის კომპეტენციას. ეს სისტემა სრულიად სწორი და ლოგიურია და ექვს გარეშეა საგრ-

ძნობლად ამასუბოქებს პროცესს, რაც შეეხება რ. ს. ფ. ს. რ.-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტს, იქ აღნიშნულ სისტემასთან ერთად მიღებულია ისეთი გამო-
ნაკლისები, რომ, ჩვენის აზრით, ეს გამარტივებული სისტემა ყოველგვარ მნიშ-
ვნელობას ჰკარგავს.

პროექტი ჰქმნის განსაკუთრებულ ინსტიტუტს, რომელსაც „მოსამზად-
ბელი სხდომა“ ეწოდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ადრე ამ პროექტის თანახმად,
საჩივარი პროკურორის დადგენილებაზე აღმკვეთი ღონისძიების შეფარდობის
შესახებ უნდა წარედგინოს სასამართლოს, სადაც იგი განიხილება ეკრედ წო-
დებულ მოსამზადებელ სხდომაზე. პროექტის 83 მუხლის თანახმად (უკანასკნე-
ლი რედაქციით, რომელიც მიიღო იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლე-
გიამ, Еженедельник Советской Юстиции, № 46—47) ისეთ შემთხვევაში,
თუ წინასწარი კვლევა-ძიება სრული არ არის, თუ სადავოა დანაშაულის კვა-
ლიფიკაცია, თუ საპართალში მიცემა უსაფუძვლოდ იქნა ცნობილი, თუ უთან-
ხმოებას იწვევს აღმკვეთი ღონისძიება საქმე შეიძლება გადაცემულ იქნეს მო-
სამზადებელ სხდომაზე განსახილველად. შემდეგ პროექტის 95 მუხლის თანახ-
მად, მოსამზადებელი სხდომის დადგენილებით საქმე შეიძლება წარმართულ
იქნეს დამატებით გამოძიებისათვის, იგი შეიძლება მოისპოს და, ბოლოს, შე-
საძლებელია თავმჯდომარეს დაევალოს ახალი დასკვნის შედგენა უიმისოდ,
რომ საქმე წარმართულ იქნეს დამატებითი გამოძიებისთვის. აქ ჩვენ უკვე საქმე
გვაქვს ნამდვილ გამწესრიგებელ სხდომასთან ყველა იმ ფუქციით, რომელიც
ეკუთვნის მას რეფორმის გატარებამდე, სანამ სამართალში მიცემისა და საქ-
მის მოსპობას ფუნქციები გადაეცემოდა პროკურატურას. განსხვავება თითქმის
ალარავითარი აღარ დარჩა გარდა იმისა, რომ წინეთ სასამართლოში არსები-
თი განსხვავებისათვის შემოსულ საქმეთა შეტანა გამაწესრიგებელ სხდომაზე
სავალდებულო იყო, ხოლო ამ შემად ეს სავალდებულო აღარ არის.

ჩვენი თვალსაზრისით, ასეთი სისტემა არაა მისაღები და იგი ვერავითარ
შემთხვევაში ვერ შეუწყობს ხელს პროცესის გამარტივებას. მართლაც, ამ გზით
სამართალში მიცემისა და საქმის მოსპობის საკითხების გადამწყვეტი ერთი
ორგანოს ნაცვლად იქნება ორი ორგანო და სასამართლო წარმოადგენს თით-
ქოს პროკურორის მოქმედების საკონტროლო ორგანოს სამართალში მიცემის
დარგში. ეს საგრძნობლად ასუსტებს პროკურატურის პასუხისმგებლობას სა-
მართალში მიცემის საკითხის სწორი დამუშავებისათვის, რადგანაც საბოლოოდ
პასუხისმგებლობა საქმის სწორი შეტანისათვის სასამართლოში ეკისრება თით-
ქოს თვით სასამართლოს. ხოლო მეორეს მხრივ, სად არის იმის გარანტია,
რომ მოსამართლე, რომელიც პასუხისმგებლად სთვლის თავის თავს სწორი მი-
ცემისათვის სამართალში, არ ამჯობინებს ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემ-
თხვევაში მაინც შეიტანოს საქმე მოსამზადებელ სხდომაზე განსახ ლველად.
მაშ რაშია აქ პროცესის გამარტივება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ემ არა თუ არ
არის პროცესის გამარტივება, პირიქით ეს მისი საგრძნობი გართულებაა იმ
სისტემასთან შედარებითაც კი, რომელიც არსებობდა იმ დროს როდესაც სა-
მართალში მიცემისა და საქმის მოსპობის ორგანო სასამართლო იყო. საჭიროა
მტკიცედ იქნეს გამიჯნული სასამართლოს და წინასწარი კვლევა-ძიების ორ-

განთა ფუნქციები და სამართალში მიცემისა და საქმის მოსპობის ფუნქციები მთლიანად გადაეცეს პროკურატურას (და გამოძიებლებს). ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროკურატურა და გადამძიებლები, რომლებსაც ევალებათ ზედამხედველობა და უშუალო მეთვალყურეობა წინასწარი კვლევა-ძიების წარმოებისათვის, სავსებით კომპეტენტური არიან სასამართლოში მიცემისა და საქმის მოსპობის საკითხების გადასაწყვეტად. ჩვენი სასამართლოების პრაქტიკამ მის შემდეგ, რაც ჩვენი სისხ. სამ. საპრ. კოდექსით სამართალში მიცემა მიეკუთვნა პროკურატურას, დაგვანახა, რომ გამართლებულ განაჩენების რიცხვმა არა თუ არ იმატა, პირიქით, იკლო კიდევ და აგრეთვე შემცირდა საქმის დაბრუნების შემთხვევები დამატებით გამოძიებისათვის. ძეორეს მხრივ ყველა ფუნქცია საქმის სასამართლოში განხილვის დარგში მთლიანად უნდა მიეკუთვნოს სასამართლოს კომპეტენციას. ამ მხრივ სასამართლოს დადგენილება გამოძიების შევსების ახალი ბრალდების წარდგენის და სხვ. შესახებ სავალდებულო უნდა იყოს პროკურატურისა და გამოძიებლებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა დავადგათ უკრაინის ნიერ არჩეულ გზას და სრულიად მოვსპოთ სასამართლოს განწყობი-გებელი სხდომები და სამართალში მიცემისა და საქმის მოსპობის ფუნქციები გადავსცეთ პროკურატურასა და გამოძიებლებს, ხოლო ყველა დანარჩენი მოსამხადებელი მოქმედება საქმის განხილვამდე მოვაკუთვნოთ სახალხო სასამართლოს ან ს სამართლოს თავმჯდომარის ერთპიროვნულ ხელისუფლებას. სახალხო მოსამართლისათვის (ერთპიროვნულ) შენარჩუნება სასამართლოში მიცემისა და საქმის მოსპობის ფუნქციისა ისეთ საქმეებზე, რომლებიც შ. მოდის უშუალოდ სასამართლოში ან აღიძურება თვით სასამართლოს მიერ, არ არღვევს ზემოაღნიშნულ სისტემას, რადგანაც ეს უკეთეს შემთხვევაში უმნიშვნელო საქმეებია და არ საჭიროებენ წინასწარ კვლევა-ძიებისა ამავე დროს ეს გარემოება ამარტივებს პროცესს, რადგანაც პროკურატურის ჩარევა ასეთ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია და მხოლოდ აფერხებს საქმის შემდგომ მსვლელობას.

(გაგრძელება იქნება).

**განვამტკიცოთ წითელი არმია და ჩვენი ქვეყნის
თავდაცვის უნარი!**

საკავშირო მიწის ძირითადი კანონის პრინციპების შესახებ*)

მიწის ძირითად კანონში მოცემულია პრინციპები, რომლებზედაც უნდა იქნეს აშენებული იმ მიწებს განკარგულება, რაც მოკავშირე რესპუბლიკების უშუალო გამგებლობაში იმყოფება. მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიწის განკარგულება გამოიხატება მიწის გამოყენებაში დანიშნულებისამებრ თანახმად იმ წესებისა, რაც ძირითად კანონით მათთვის სავალდებულოთ არის ცნობილი. თვითეთლმა მოკავშირე რესპუბლიკამ მის განკარგულებაში მყოფ მიწების გამოყენების დროს თავისი მოქმედება ამ წესებს უნდა დაუმორჩილოს.

აღსანიშნავია მიწის ძირითადი კანონის დებულება იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიეცეს მიწა შრომითი სარგებლობისათვის. ამ კანონის მე-7-დე მუხლის თანახმად მიწა მიეცემა იმათ, ვინც მოასურვებს მის დამუშავებას პირადი შრომით. ის, ვისაც მიწის მიღება სურს უნდა აკმაყოფილებდეს კანონში განსაზღვრულ პირობებს, რომ მისი მოახოვნა იყოს რეალური. ასეთ პირობათ ითვლება ის, რომ მსურველი უნდა იყოს ს. ს. რესპუბლიკათა კავშირის მოქალაქე. მიწის მიღების უფლება აქვს უკუაღესაც თუ იგი მშრომელთა რიცხვს ეკუთვნის და მასთან სარგებლობს პოლიტიკური უწყლებებით.

ჩვენ ამ უკავშირე უნდა შევაჩეროთ ყურადღება იმ პრინციპზე, რომელითაც მიწა მიეცემა მხოლოდ იმათ, ვინც მოასურვებს მის დამუშავებას პირადი შრომით. აღნიშნული პრინციპი არის საფუძველი მიწის შრომითი სარგებლობისა. ეს არის ამავე დროს ფარგალი მიწის შრომითი მოსარგებლის განკარგულებისა მიწის გამოყენების სფეროში.

სახელმწიფო მოითხოვს, რომ შრომითი სარგებლობისათვის გადაცემული მიწა გამოყენებულ იქნეს ისე, როგორც ეს შეეფერება იმ მიზანს, რომლის განსახორციელებლად ის მოსარგებლეს გადაეცა.

მიწის შრომით მოსარგებლეს, მიწის შრომით სარგებლობისათვის მიღება ავალებს აწარმოოს მასზე სოკლის მეურნეობა პირადი შრომით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მას მიწა ჩამოერთვას. ჩვენ ვამბობთ **შესაძლებელია მიწა ჩამოერთვას** იმიტომ, რომ შეიძლება იყოს ისეთი მიზეზი, რომელიც მიწის მოსარგებლეს ამართლებს იმაში, რომ იგი არ იყენებს მიწას უშუალოდ.

ასეთ საპატიო მიზეზათ მიწის ძირითადი კანონის მიხედვით ითვლება მეურნეობის დაუძღურება. თუ მეურნეობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მოსარგებლე მოკლებულია შესაძლებლობს დამუშაოს მიწა პირადი ძალებით, ეს მას აძლევს ნებას გამოიყენოს მიწა სხვას მეშვეობით ან დაქირავებული შრომის მოხმარებით.

პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე მიწის გამოყენებასთან იჯარით გაცემის მეშვეობით, მეორე შემთხვევაში-კი მიწის გამოყენებასთან პირადი ძალებით.

*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 3

ბით და მასთან ერთად დაქირავებული შრომით. როგორც მიწის სარგებლობის დროებით სხვაზე გადაცემა (მიწას იჯარა), ისე დაქირავებული შრომის მეურნეობაში გამოყენება მიწის ძირითადი კანონით დაშვებულია იმ შემთხვევაში რაც გათვალისწინებულია ჩვენს მიწის კოდექსშიაც,

ორთავე კანონის მიხედვით თუ არ არის ის პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწის აღნიშნული სახით გამოყენების შესაძლებლობის, იჯარისათვის ან დაქირავებული შრომისათვის მამართვა შრომითი მოსარგებლის მიერ გამოხატავს მიწის უშუალო სარგებლობის პრინციპის დარღვევას.

მიწის ძირითადი კანონი აღნიშნულ პრინციპის დარღვევის შედეგს პირდაპირ განსაზღვრავს მხოლოდ ერთ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია 37 მუხლის შენიშვნაში, სადაც არის დადგენილი, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მიწას იჯარით გასცემს კულაკური მეურნეობა, ასეთი მიწა საადგილმამულო სასამართლო ორგანოების დადგენილებით ჩამორთმეულ უნდა იქნეს. მოყვანილ დადგენილებაში გასმულია ხაზი მიწის უშუალო სარგებლობის პრინციპის დარღვევის შედეგისათვის მარტოოდენ კულაკურ მეურნეობის მიმართ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ კულაკურ მეურნეობას არა აქვს უფლება მიწა იჯარის მეშვეობით გამოიყენოს იმ შემთხვევაშიც, როცა იგი დაუძღურებულია პირადი ძალების ნაკლებობის გამო. მასთან უნდა ვთქვათ უშუალოდ პრინციპის მიხედვით: თუ კულაკურმა მეურნეობამ იჯარას მიმართა იმ მდგომარეობის გამო, რაც ახასიათებს მის დაუძღურების სამუშაო ძალებს ნაკლებობის გამო, მას მიწა უნდა ჩამოერთვას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ისმება საკითხი, რა შედეგს განსაზღვრავს მიწის ძირითადი კანონი იმ შემთხვევისათვის, როცა მიწას იყენებს შრომითი მეურნეობა, რომლისთვისაც არ არის დაწესებული აკრძალვა მიწის იჯარის მეშვეობით გამოყენებისა. აქ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა. ერთი, როცა იჯარას მიმართავს ისეთი მეურნეობა, რომელიც დაუძღურებულია იმ მიზეზით, რაც გათვალისწინებულია კანონში. მეორე, როცა მეურნეობის ასეთ დაუძღურებას არა აქვს ადგილი. ცხადია რომ პირველ შემთხვევაში იჯარა დაშვებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი დაუშვებელია.

უკანასკნელი შემთხვევა უახლოვდება იმ გარემოებას, რომელსაც ითვალისწინებს მიწის ძირითადი კანონის 37 მუხლის მოყვანილი შენიშვნა. საერთო ამ ორ შემთხვევის შორის ისაა, რომ არც ერთს მათგანს არ შეუძლია მიწის იჯარით ისარგებლოს. ორივესათვის მიწის იჯარათ გაცემის გზა დახურულია. მათ მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს რეგისტრაციასქმნილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება.

მიწის ძირითადი კანონის ის მუხლი, სადაც ლაპარაკია მიწის საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციაზე, შეიცავს დადგენილებას, რომ შრომითი სარგებლობის მიწის გაცემა იჯარით კანონიერად ჩათვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრაციაში გატარდება სოფლის საბჭოში

ამის შემდგომ ნათქვამია, რომ სოფლის საბჭო უარს აცხადებს ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებაზე, თუ მიწის იჯარით გაცემის დროს კანონი

ირღვევა, ცხადია რომ კანონი ირღვევა მაშინ, თუ იჯარით გაცემს მიწას ისეთი მეურნეობა, რომელიც არ არის დაუძღურებული, რომელსაც მაშასადამე არა აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა.

კანონის დარღვევათ ჩაითვლება ის შემთხვევა, როცა იჯარით გაცემის მიწას კულაკური მეურნეობა მიუხედავად იმისა, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, არის თუ არა იგი დაუძღურებული პირადი ძალების ნაკლებობის გამო. აღნიშნულ პირობაში დადებული საიჯარო ხელშეკრულება არ შეიძლება გატარებულ იქნეს რეგისტრაციაში. მაგრამ ამ ზოგად დებულების გარდა საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებისათვის საჭიროა იმ პირობათა დაცვა, რომლებიც ახასიათებენ მიწის იჯარით გაცემისა და მიმღების შორის ნორმალურ დამოკიდებას, და აგრეთვე იმის განმარტება. აქვს თუ არა მიწის იჯარით გაცემის რწმუნებამოსილობა მიწა იჯარით გაცემს. აღნიშნულ საკითხებზე ლაპარაკია მიწის ძირითადი კანონის 40 მუხლში. ხსენებულ მუხლში დადგენილია, რომ სოფლის საბჭო უნდა აცხადებს ხელშეკრულების რეგისტრაციაში გატარებაზე კერძოდ: ა) თუ იჯარის პირობები შემმოკველია ხელმოკლე გლეხობისათვის; ბ) თუ მიწას იჯარით სცენს კულაკური მეურნეობა; გ) თუ კომლს მიწას იჯარით გაცემზე თანახმა არ არის კომლის სრულუფლებიან წევრთა უმრავლესობა.

მოყვანილ დადგენილებათა მიხედვით უნდა ითქვას, რომ უკანონოა იჯარა, თუ იგი არ არის გატარებული რეგისტრაციაში. ამასთან დაკავშირებით უნდა დაისვას საკითხი, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს იმ შემთხვევას, როცა მიწა გაცემულია იჯარით უიმისოდ, რომ საიჯარო ხელშეკრულება იყოს გატარებული რეგისტრაციაში. თუ ამ საკითხს განვიხილავთ ძირითადი კანონის იმ მუხლის თვალსაზრისით, სადაც ჩამოთვლილია მთავარი პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწის სარგებლობის მოსპობის შესაძლებლობას, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა შემთხვევაში, როცა მიწა გაცივმა იჯარით უიმისოდ, რომ საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრაციაში იქნეს გატარებული მიწის შრომითი სარგებლობა უნდა მოისპოს. მაგრამ ამავე დროს უნდა დაისვას საკითხი, შეიძლება თუ არა კანონი ერთნაირათ უდგებოდეს კულაკურ მეურნეობას და არა კულაკურ მეურნეობას, რომელიც დაუძღურებულია, იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე სახის მეურნეობათა მიერ მიწა გაცემულია იჯარით, საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციაში გაუტარებლად. ცხადია, რომ კანონი მათ ერთი საზომით არ უდგება და ვერც მიუდგება. ერთი საზომი, რომ იყოს განსაზღვრული მათთვის მიწის ძირითად კანონში, მაშინ (127 მუხ. შენიშვნა) ხაზი არ ექნებოდა გასმული იმ შემთხვევას, როდესაც მიწას იჯარით აძლევს კულაკური მეურნეობა. ასეთი შემთხვევისათვის დაწესებულია მიწის ჩამორთმევა მის მოსარგებლისაგან (კულაკურ მეურნეობისაგან) სადგილმამულო სასამართლო ორგანოების დადგენილებით.

ამრიგად მიწის ძირითადი კანონის ის დადგენილება, სადაც აღნიშნულია რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად მიწის იჯარით გაცემა, სავსებით ნათელია. ხოლო ამავე კანონში არ მოიპოვება პასუხი იმ საკითხზე, შეიძლება თუ არა უკანონო იჯარის ყველა შემთხვევაზე გავავრცელოთ ამ კანონის 10



მუხლის „ვ“ პუნქტის დადგენილება, რომლის მიხედვით მიწის შრომითი სარგებლობა ისპობა, თუ მიწის უკანონოდ იჯარით გაცემა მოხდება?

თუ ეს დადგენილება გავაგრძელებთ მიწის იჯარით გაცემის ყველა შემთხვევაზე, რასაც წინ არ უძღვის საჯარო ხელ შეკრულების რეგისტრაცია მაშინ გათანაბრებული იქნება კულაკური მეურნეობის მდგომარეობასთან არა კულაკური დაუძღვრებული მეურნეობის მდგომარეობა, რომელიც მიწის იჯარით გაცემით არღვევს არა მიწის უშუალო სარგებლობის პრინციპს, არამედ კანონის იმ დადგენილებას, რომ საიჯარო ხელშეკრულების კანონიერებისათვის საჭიროა მისი გატარება რეგისტრაციაში. ცხადია, რომ ამ შემთხვევისგან რადიკალურად განსხვავდება ის შემთხვევა, როცა მიწა გაცემულია იჯარით კულაკური მეურნეობის მიერ. ეს განსხვავება, როგორც ზემოდ იყო განმარტებული, იმაში მდგომარეობს, რომ კულაკური მეურნეობა გარდა მიწის უშუალო სარგებლობის პრინციპის დარღვევისა არღვევს კიდევ კანონის დადგენილებას, რომელიც დაუშვებლად სთვლის კულაკური მეურნეობის სარგებლობის მიწის გაცემას იჯარით.

აღნიშნული მოსაზრებანი გვაძლავს ჩვენ მიწის ძირითადი კანონის საფუძველზე დასამუშავებელი ახალ მიწის კოდექსში დასმულ საკითხს მივსცეთ ნათელი გამოსახვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ძირითადი კანონი მიწის იჯარით გაცემის შესაძლებლობას აადვილებს მომქმედ კოდექსთან შედარებით იმ მხრივ, რომ მიწის იჯარის კანონიერებისათვის საჭიროდ სთვლი მხოლოდ მის გატარებას რეგისტრაციაში.

ძირითად პრინციპების საკითხში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიწის ძირითად კანონის პარველი მუხლი, სადაც დადგენილია, რომ ყოველგვარი გარიგება, აშკარა თუ ფარული ფორმით, რომელსაც არღვევს მიწის ნაციონალიზაციის საფუძველს (ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, გასაჩუქრება, მიწის გადაცემა ანდერძით, თავისი ნებით უკანონო გაცემა მიწისა და სხვ.) გაბათილებულად ითვლება, ხოლო ასეთ გარიგებათა მონაწილენი, პასუხს აგებენ სისხლის საპართლის წესით და სასამართლოს დადგენილების თანახმად, მიწათსარგებლობის უფლებასაც ჰკარგავენ. მოყვანილ დადგენილებაში აღნიშნული გარიგებანი გამოხატავენ მიწის მოსარგებლის მიერ ისეთ განკარგულებას, რაც კერძო საკუთრებასთან არის დაკავშირებული ბუნებრივად. აქედან ცხადია რომ ასეთი გარიგებანი ეწინააღმდეგებიან მიწის ნაციონალიზაციის საფუძველს და ამიტომ იწვევენ მათთან სასტიკ ბრძოლას.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით იმ გარიგებასთვისაც, რომლებიც ძირითადი კანონის მიხედვით არ წარმოადგენენ მიწის ნაციონალიზაციის საფუძველის დარღვევას. ასეთ გარიგებას ეკუთვნის მიწის ქვეიჯარა (субаренда).

მიწის ძირითად დებულებში ქვეიჯარის შესახებ ლაპარაკია 41 და 62 მუხ, პირველ მუხლში გათვალისწინებულია ის შემთხვევა, როცა მოიჯარადრე ვაცემს იჯარით იმ მიწას, რომელიც მას მიღებული აქვს მიწის შრომით მოსარგებლისაგან, მეორე კი იმ შემთხვევას, როცა მოიჯარადრეს მიერ გაცემულია იჯარით ის

მიწა, რაც მის მიერ მიღებულია უშუალოდ სახელმწიფოსაგან უკანასკნელის მარაგიდან.

მიწის ძირითადი კანონის ასეთი მიდგომა ქვეჯარისადმი პოულობს გამართლებას შემდეგ გარემოებაში.

წრომითი იჯარა დაშვებულია არა როგორც წესი, არამედ როგორც გამონაკლისი ისეთ წრომით მეურნეობისათვის, რომელიც არ ეკუთვნის კულაკურ მეურნეობათა კატეგორიას და მასთან დაუძღურებულია. მეურნეობის ასეთ მდგომარეობის გარეშე მიწის იჯარით ვაცემა დაუშვებელია.

მეორეს მხრივ მოიჯარადრის არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე მეტი უფლება, რაც მიწის წრომით მოსარგებლეს ეკუთვნის. მას ეძლევა მხოლოდ უფლება მიწადანიშნულებისამებრ გამოიყენოს უშვალოდ. ეს კი განსაზღვრავს შეუძლებლობას, რომ მის მიერ ეს მიწა იქნეს გადაცემული სხვაზე. ასე რომ თუ მან მიუხედავად ამისა მიწა მაინც გადასცა სხვას სარგებლობაში, მან ამით მიღებული უფლება გახადა ისეთ განკარგულების საგნათ. რაც ცივილისტურ განკარგულებას მოგვაგონებს და მაშასადამე სავსებით ეწინააღმდეგება მიწის გადაცემასთან დაკავშირებულ ფუნქციას. ასეთი მოქმედება მოიჯარადრისა დანაშაულად არის მიჩნეული ძირითად კანონში. ამგვარადვე უდგება იგივე კანონი იმ შემთხვევას, როცა მოიჯარადრე თავის მხრივ გასცემს იჯარით იმ მიწას რაც მიღებულია მის მიერ უშუალოდ სახელმწიფოსაგან იჯარით.

ამრიგად მიწის ძირითადი კანონი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის წესით დევნა შემოღებულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში მხოლოდ ისეთი გარიგების დადებისათვის, რომელიც არღვევს მიწის ნაციონალიზაციის საფუძველს და აგრეთვე ქვეჯარისათვის.

(გაგრძელება იქნება).

დ. მიკანანაშვილი

მილიციის როლი პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში.

პროსტიტუცია საშიში სოციალური მოვლენაა, იგი ღრღნის ახალ წყობილების ორგანიზმს. პროსტიტუციის ზრდასთან ერთად, იზრდება და ვითარდება მისი აუცილებელი თანამგზავრი—ვენერიული ავადმყოფობა.

ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებმა ამ მოვლენას მიაქციეს სათანადო ყურადღება და გამოიმუშავეს მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც ამ უამად ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ ამასთან ერთად ცნობილია, და სრულიად საფუძვლიანათაც, რომ მართოდენ პროფილაქტიკური ზომებით პროსტიტუციის ზრდასთან ბრძოლის წარმოება შეუძლებელია; საჭირო არის ვადამწყვეტი ზომები, ადმინისტრაციული ზედამხედველობის გაძლიერების სახით და იმ პირთა დევნით, რომელნიც ხელს უწყობენ პროსტიტუციის განვითარებას

ბრძოლის ამ უკანასკნელი სახის განსახორციელებლად მოწოდებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები, კერძოდ მილიცია, და აგრეთვე სასამართლო. როგორ უნდა განახორციელოს მილიციამ აღნიშნული მოვალეობანი? საითკენ უნდა მიმართოს მან მთელი თავისი ენერგია პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში? ამაზე ვიტყვით ქვევით. აქ მხოლოდ მოკლედ შევხებით პროსტიტუციას საერთოდ და იმ პრაქტიკას, რომელიც არსებობს ბურჟუაზიულ ქვეყნებში და არსებობდა აგრეთვე მეფის დროის რუსეთში, რომელიც პოლიციური მეთოდებით აგრეთვე „ებრძოდა“ თავის დროზე პროსტიტუციას, მხოლოდ რომლის მაგალითს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიჰბადოს საბჭოთა მილიციამ. შეცდომა არ იქნება ვსთქვათ, რომ ზოგიერთ შემთხვევებში მილიციის ორგანოები პროსტიტუციასთან გატაცებულ ბრძოლაში გზას უხვევენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ხაზს ამ საკითხში და ხმარობენ ძველ, თანამედროვე გარემოვითარებისთვის მიუღებელ საშუალებებს. ყოველივე ეს, ცხადია, არ აიხსნება იმით, რომ ჩვენმა მილიციამ კარგად იცის ბრძოლის ძველი ფორმები და არ იცის ახლები. არა, ეს ხდება იმიტომ, რომ მილიციამ არ იცის არც ძველი და არც ახალი მეთოდები.

პროსტიტუცია, ე. ი. ვაჭრობა თავისი სხეულით, როგორც ობიექტით სქესობრივ ინსტიქტის დასაკმაყოფილებლად, ცნობილია ჯერ კიდევ ძველად, პროსტიტუცია არ უნდა აურიოთ პირველყოფილ ადამიანის ველურ, შესუკავებულ სქესობრივ ინსტიქტთან; საზოგადოების ცხოლოდ კლასური დაყოფის ნიშნებთან ერთად დედაკაცის სხეული ხდება ვაჭრობის ერთ-ერთ საგნად.

სქესობრივ კავშირიდან მატერიალური გამორჩენის გამოგონების პირველობა ეკუთვნის ღვთისმსახურებს. მაგ. ბაბილონში ახალგაზრდა ქალიშვილები მილიტის ტაძარში და აქ სწირავდნენ თავის ქალწულობას ქალ-ღმერთის მისი ქურუმების (კერპთმსახურთა სასულიერო პირი) სახით; შემდეგში ქურუმებმა დაიწყეს შენახვა ტაძართან დედაკაცებისა, რომლებიც განსაკუთრებული ფასით ტაძრის, ე. ი. ქურუმების სასარგებლოდ აძლევდნენ თავის სხეულს.

ანაირ მოვლენას ამ უმათაც აქვს ადგილი. მაგ. ინდოეთში, ერთ ქალაქის სხვადასხვა ტაძრებში ჰყავთ 127.000-მდე „რელიგიური პროსტიტუტკები“, რომლებსაც, მართალია, ოფიციალურად „ტაძრის მოცეკვავე ქალები“ ჰქვიან, მაგრამ მათ, გარდა „სამღეთო ცეკვის“ მოვალეობას შეადგენს მისცენ თავისი სხეული ყოველივე იმ მამაკაცს, რომელიც მივა ტაძარში და მოისურვებს სქესობრივ კავშირის დაქერას მოცეკვავე ქალთან—ფასით. აღსანიშნავია, რომ ეს „თანამდებობა“ იმდენად საპატიოთ ითვლება, რომ მრავალ გამოჩენილ ოჯახს დიდ ბედნიერებად მიაჩნა შესწიროს თავისი ქალიშვილი ტაძრის ამ მსახურებას (ეჭ. ცუკერი: „პროსტიტუცია და მისი მიზეზები“).

მეფის დროის რუსეთიც განსხვავდებოდა ამით. ყვილას გვახსოვს ცნობილი გრიგოლ რასპუტინი. განა იგი არ წარმოადგენს ყველაზე ძლიერ და ენერგიულ „რელიგიურ პროსტიტუციის“ მოქნილ სუტენიორს ქალის ხარჯზე მხოვრები, რომელსაც ამართლებდა და კიდევაც იცავდა ეკლესია და თითქმის „წმინდათა“ წრეს აკუთვნებდა.

საბერძნეთის მსხვილი და სავაჭრო ქალაქები ხასიათდება თავისებური კლასებით დაყოფით. აქ იყვნენ სრულუფლებიანი, არასრულუფლებიანი მოქალაქენი და მონები. ისტორია გადმოგვცემს, რომ სოლომონმა სახელმწიფო ფულით დიდი საერთო გარყვნილობის სახლი დაარსა, სადაც მონა-ქალები თავის სხეულს ჰყიდდნენ სიტყვა სიტყვით მცირე ფასად.

პროსტიტუტების არსებობას ათინაში ხელსუფლებდნენ შრომისაგან თავისუფალი, უსაქმო და მატერიალურად უზრუნველყოფილი „მატონების“ კლასი. მართლაც ვის შეეძლო სხვას აქ გამყიდვ ქალების მზიარული ბრბოს შენახვა, თუ თავისუფალ ათინის მოქალაქეს არა, რომელიც სცხოვრობდა და ფუფუნებდა აუარებელ რიცხვის მონების ეკონომიურ ექსპლოატაციის ხარჯზე.

იგავე მდგომარეობა იყო საშუალო საუკუნოებში, ამ ხანაში ემჩნევა ძლიერი განვითარება პროსტიტუციას და გარყვნილობის სახლების ზრდას. ახალგაზრდა ქალიშვილების მოტყუებით პროსტიტუციისათვის გადაბირება ჩვეულებრივი მოვლენად გახდა.

ამნაირად რელიგია და კლასიური საზოგადოება პროსტიტუციის მატარებელია. მხოლოდ მათი მოსპობით—რელიგიის და კლასიური საზოგადოების—შეიძლება განთავისუფლება ამ უღიადეს სოციალურ ბოროტებისაგან—პროსტიტუციისაგან.

არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, გარდა საბჭოთა კავშირისა, რომელიც აწარმოებდეს ნამდვილ ბრძოლას პროსტიტუციასთან. ბურჟუაზიული ხელისუფლება ებრძვის პროსტიტუტკას და არა პროსტიტუციას მაშინ, როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს თვით სისტემა აიძულებს დედაკაცს დაადგეს პროსტიტუციის გზას. უნდა ითქვას, რომ სრულიად ნორმალური დედაკაც-ცი, რომელსაც შესაძლებლობა აქვს პატიოსანი შრომით ლუკმა პური შეიძინოს პროსტიტუციის არ დაიწყებს.

პროსტიტუტცია არსებობისათვის მძიმე ბრძოლის, საშინელი ზნეობრივი ტანჯვის შედეგია; იგი შედეგია უბედურად შექმნილ მატერიალურ ან ცხოვრების პირობებისა. ყოველივე აღნიშნულ მიზეზების არიდების მაკვირად, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი ხელისუფლება თავის ბრძოლის ისარს უმიზნებს გაუბედურებულ პროსტიტუტკას. როგორც ყოველთვის სხვა შემთხვევაშიაც ბურჟუაზია პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიმართავს თავის მახლობელ „დამცველს“—პოლიციას, რომლის მეშვეობით იგი ფიქრობს მის მოსპობას.

პროსტიტუციის განდევნა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ქუჩებიდან, რომლებზედაც იგი ასე თამამად და თვალსაჩინოდ მოქმედობს, პოლიციის ბრძოლის პროგრამის არსებით პუნქტს შეადგენს. პოლიცია იმას კი არა სცდილობდა და სცდილობს, რომ მოსპოს დედაკაცის პირუტყვის მდგომარეობამდე ჩამოყვანა, მისი პიროვნების შელახვა თუ გათახსირება, არა, იგი „აწესრავებს“ პროსტიტუციას, ბურჟუაზიის კარნახით „კალაპოტში“ აყენებს, რათა არ შეავიწროოს ბურჟუაზიული საზოგადოება და არ შეუარაცხოს „მათი ზნეობა“.

იქ სადაც საჭიროა სოციალური ღონისძიებანი, მოიწვიეს პოლიციელი.

საპოლიციო ზედამხედველობის ფორმები პროსტიტუციაზე მეფის დროის რუსეთში, მოკლედ, ამნაირი იყო:

ამა თუ იმ ქალაქში პოლიცია ვალდებული იყო რეგისტრაცია ეწარმოებინა ყველა იმ დედაკაცებისა რომლებიც ეწეოდნენ გარყვნილებასა და ადგენდა მათ სიას.

პოლიცია ავალდებულებდა ყველა აღრიცხულ პროსტიტუტკებს ხელწერილით ადგილობრივ საავადმყოფოში კვირაში ერთხელ შემოწმებას.

შემოწმებაზე ყველა გამოცხადებულ და არ გამოცხადებულებს პოლიცია აღნიშნავდა თავის სიებში და ვინც არ გამოცხადდებოდა აჯარიმებდა.

ავადმყოფად ცნობილ პროსტიტუტკებს იძულებით მკურნალობდნენ საავადმყოფოში.

ყველა ექიმ-ვენეროლოგებს ევალდებოდათ პაციენტ-მამაკაცისაგან გამოერკევათ, ვისგან შეეყარათ ავადმყოფობა, იმ მიზნით, რომ მოეძებნათ დამნაშავენი პოლიციის საშუალებით (მართალია, გვიან ეს წესები იყო გაუქმებული).

პროსტიტუტკიაზე პოლიციის ზედამხედველობის ეს პირვანდელი საშუალებანი მომავალში იყო განვითარებული ეგრედ წოდებული „ბარდლების პატრონებისათვის წესებში“, რომელიც დამტკიცებული იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ და გამოცემული 1861 წელს, და რომელიც არსებითად დარჩა უცვლელი თვითმპყრობელობის არსებობის უკანასკნელ დრომდე.

აღნიშნულ წესების თანახმად, ბარდლების გახსნის უფლება ჰქონდა მხოლოდ დედაკაცებს არა ნაკლებ 35 და არა უმეტეს 55 წ. ამნაირ სახლების გახსნისათვის ნებართვას აძლევდა მარტოოდენ პოლიცია.

პოლიციას ევალდებოდა ამ სახლში წესიერების და მყუდროების დაცვა და თვალყურის დევნა. რათა ბარდლის პატრონს ყოველკვირეულად წარედგინა პროსტიტუტკები საექიმო შემოწმებაზე. ამავე წესების თანახმად, პროსტიტუტკა ვალდებული იყო თავის „შემოსავლის“ $\frac{3}{4}$ გადაეცა ბარდლის პატრონისათვის და მხოლოდ $\frac{1}{4}$ რჩებოდა მას.

ამნაირ ფორმებით ანხორციელებდა მეფის პოლიცია „ბრძოლას“ პროსტიტუტკიასთან.

უკეთეს პროსტიტუტკა, რომელმაც გადასწყვიტა თავის დანებება ამ სამარცხვინო პროფესიას, მოახერხებდა სახლიდან გაქცევას, უფრო მეტიც-მოახერხებდა ამ ქალაქიდან სრულიად წასვლას, მოსამართლე, პოლიციის ჩინოვნიკის სახით, არ სტოვებდა მას ახალ ადგილზედაც, პოლიცია კვლავ აიყვანდა მას აღრიცხვაზე და მიჰყავდა იძულებით ძველ საცხოვრებელ ადგილზე მიუხედავად პროტესტების და განცხადებისა, რომ მას სურს, ბოლოს და ბოლოს, პატიოსანი შრომით იცხოვროს.

პოლიცია აიძულებს მას განაგრძოს პროსტიტუტკის პროფესია. კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარულ დედაკაცის ბატონ-პატრონი—პოლიციის ჩინოვნიკია, რომელსაც ეხვევა ზნეობრივად დაცემული ელემენტი (დამნაშავენი, სუტუნიაორები), რომლებიც ცხოვრობენ პროსტიტუტკის ხარჯზე.

ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო რეგლამენტაციის სისტემა, მხოლოდ ერთი გაკვრით ვერ შეძლო მოესპო საუკუნოებით შექმნილი სოციალური ფაქტორები და ამისათვის არ იქნა მოსპობილი პროსტიტუტკია.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა პროსტიტუციასთან ბრძოლის სწორად დასაჯება, მხოლოდ გაითვალისწინა ისიც, რომ საჭიროა ბრძოლა არა პროსტიტუტების წინააღმდეგ, არამედ პროსტიტუციასთან, როგორც სოციალურ ფაქტორთან, არა რეპრესიებით (დასჯით), არა საპოლიციო ზეგავლენის ზომებით, არამედ იმ ფაქტორების მოქმედებათა შესუსტებით, რომლებიც მას ჰკვებავენ.

შეიძლება თუ არა პოლიციის ზემოაღწერილი ფორმა მოღვაწეობისა ჩაითვალოს ბრძოლად პროსტიტუციასთან? რასაკვირველია არა. ეს უფრო პოლიციური დაცვაა პროსტიტუციის. ეს—დაკანონებული ექსპლოატაციაა ადამიანის მიერ ადამიანისა, და ისიც საზიზღარ ფორმებში. შეიძლება თუ არა პოლიციის ამნაირი პრაქტიკა მიღებულ იქნეს საბჭოთა მიერ პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში? არავითარ შემთხვევაში. ჩვენმა მილიციამ უნდა იმოქმედოს სულ სხვანაირად.

ჩვენი მილიციის მოქმედება მიმართული უნდა იყოს გარყვნილობის თავშესაფარების შემნახველ პირთა ინტერესების დაცვისაკენ კი არა, არამედ სწორედ მათ წინააღმდეგ. ჩვენმა მილიციამ დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს იმ პართა წინააღმდეგ, რომლებიც შეეცდებიან პროსტიტუცია ჩამოაყალიბონ რაიმე ორგანიზაციულ ფორმებში, ხელსშეუწყობენ მატერიალურად შევიწროებულ დედაკაცებს ლუკმა პური იშოვონ თავის სხეულის გაყიდვით.

პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში მილიციის ძირითად მუშაობას შეადგენს.

1. იმ გარყვნილების თავშესაფართა აღმოჩენა, რომელიც წარმოადგენს უფრო ძლიერ ხელშემწყობ ფაქტორს პროსტიტუციის განვითარებისათვის და რომელიც ჰქმნის დამახინჯებულ ფორმებს. დაუნდობელ ექსპლოატაციისა დამნაშავეთა ელემენტების მხრივ იმ პირთა, რომელნიც პროსტიტუციაში ჩათრეულნი არიან ეკონომიურ ან სხვა მიზეზის გამო.

2. იმ პირთა აღმოჩენა და შეპყრობა, რომელნიც აწარმოებენ მაჰანკლობას, თავშესაფართა შენახვას, პროსტიტუციისათვის ქალების შერჩევას (მოვაჭრე ცოცხალი საქონლით) და სუტენიორობას (რომელნიც მეძავ ქალების ხარჯზე ცხოვრობენ) ხელობის სახით.

3. და ბოლოს, ზომების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ საზოგადოებრივ გასართობი ადგილები არ იქნეს გამოყენებული პროსტიტუციის მიზნებისათვის და ასეთები არ გადააქციონ გარყვნილების თავშესაფარად.

ასეთია ის მიზნები, საითკენაც უნდა მიმართოს მილიციამ მთელი თავისი ენერგია პროსტიტუციასთან ბრძოლაში.

პრაქტიკული განხორციელება აღნიშნულ ამოცანების, ცხადია, დიდ სიძნელეს წარმოადგენს და მოითხოვს განსაკუთრებულ წინდახედულობას, რათა არ იქნეს დაშვებული შეცდომა ან გადახვევა.

უპირველეს ყოვლისა გარყვნილობის თავშესაფართა შესახებ. თვითველ მილიციის რაიონის მოვალეობას უნდა შეადგენდეს თავის რაიონის მცხოვრებთა გაცნობა. ამისათვის მან უნდა ჩააბას ამ საქმეში სახლთამმართველობა, რომელიც უფრო კარგათ იცნობს თავის მდგურებს და მათ საარსებო წყაროს, და

იმოქმედოს მათი მეშვეობით, ნხოლოდ პარწმუნო ცნობების მიღების და მათი შემოწმების შემდეგ მილიციას შეუძლიან უშუალოდ თავისი ძალებით მოახდინოს გამოკვლევა.

ადგილობრივ მილიციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასტუმროებს, სადაც უფრო მოსახერხებელია პროსტიტუციის წარმოება. ამისათვის მილიციამ თვალყური უნდა ადევნოს სასტუმროში ჩამოსულ ან გასულ პირთა საბინაო დავთარში ჩაწერას და ამოწერას.

არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს კაფეებს და რესტორანებს ცალკე კაბინეტებით და განსაკუთრებით აბანოებს ნომრებით, ამისათვის მილუციამ რაც შეიძლება ხშირად უნდა აწარმოოს დავლა.

ზაფხულობით საჭიროა ზედანხედველობის გაძლიერება ბაღებში, ბუღვარებზე, პარკებში და სხვა ამისთანა საზოგადოებრივ ადგილებში, სადაც უფრო მოსალოდნელია დედაკაცების გარყვნილებაში ჩათრევა და მაჰანკლების მუშაობა, თუმცა ამ ადგილებში უკეთესად იმოქმედებს სისხლის სამართლის სამძებროს ფარული—აგენტურა, რისთვისაც მილიციამ უკანასკნელი უნდა ჩააბას დასახმარებლად.

ბრძოლა პროსტიტუციასთან არ უნდა გადაიქცეს პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლად. მილიციას არ შეუძლიან მიმართოს რაიმე რეპრესიულ ზომებს ცალკე მეძავ ქალთა და აგრეთვე მათ კლიენტთა (მუშტართა) მიმართ. საჭირო შემთხვევებში მილიციას შეუძლიან ისინი გამოიყენოს აღნიშნულ საქმეზე მხოლოდ მოწმეებათ.

მილიციას უნდა ახსოვდეს, რომ ქალი, რომელიც მეძავობას ეწევა, ამ გზას დაადგა შექმნილ მატერიალურ ან სხვა რაიმე ცხოვრების ცუდი პირობების გამო, და ამისათვის თვითივე მილიციის მუშაკი მას, როგორც დაჩაგრულ არსებას, უნდა მოჰყრას ზრდილობიანად, დაეხმაროს მას გონიერათ და არაგითარ შემთხვევაში არ დაუშვას უდიერი მიმართვა.

უკეთეს შევადარებთ ძველი პოლიციის ბრძოლის ფორმებს და ჩვენი მილიციის მოქმედების მეთოდებს, ნათლად დავინახავთ განსხვავებას და საბჭოთა მილიციის კეთილშობილ როლს მასთან ბრძოლაში.

მილიციის მუშაკებმა ნედგრად უნდა გაატარონ ცხოვრებაში ინსტრუქციით გათვალისწინებული პრინციპები და არ გადაუხვიონ ძველ პოლიციის გზაზე.

6. ზინზარაძე.

მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა უზარბისობისა და მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო.

შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. I შენიშვნის მიხედვით განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება შეიძლება გაუქმებული იქნას დამქირავებლის მოთხოვნით მუშაკის უვარგისობისა და მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევებში—შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებით.

სიტყვიერი ახსნა განმარტების თვალსაზრისით თუ განვიხილავთ შრ. კანონთა კოდექსის 47 მუხ. I შენიშვნას უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ შემფასებელ საკონფლიქტო კომისია არის ორგანო, რომლის გადაწყვეტილების და მხარეთა შეთანხმების გარეშე შეუძლებელია შრომითი ხელშეკრულების გაუქმება; აქედანვე გამომდინარეობს ის დებულება, რომ დამქირავებელს უფლება არ აქვს სასამართლოს წესით დაადასტუროს დათხოვნა ზემოდ მოყვანილი საფუძვლით.

ზოგიერთი მკვლევარი ამ საკითხს სვამენ შემდეგნაირად: არ არის რა სანქცია ან შეთანხმება შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში მუშაკის დათხოვნის შესახებ უვარგისობის და მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო, მაშასადამე არ არის ფაქტი შრომითი ხელშეკრულების გაუქმებისა და დამქირავებლის მოქმედებას მუშაკის დათხოვნის შესახებ იურიდიული ძალა არა აქვს *).

დამქირავებელთ აღნიშნულ პირთა აზრით უფლება არ აქვთ საკითხი სასამართლოს ორგანოებში გადაიტანოს და უკანასკნელში დაამტკიცოს მუშაკის მიერ მოვალეობის სისტემატიურად შეუსრულებლობა და უვარგისობა. ერთი სიტყვით თუ საკითხს დოგმატიური ანალიზით განვსაზღვრავთ დამქირავებელი (სოციალისტურ მეურნეობის და მმართველობის აპარატის ხელმძღვანელი) მოკლებულია სამართლის გარანტიებს—უფლებრივ დაცვას **). (ჩაბდია, რომ აღნიშნულ პრინციპზე არ არის აგებული ჩვენი სამართალი და შრომის პირობების მომწესრიგებელმა ორგანოებმა წარსულში განმარტეს, რომ შრ. კანონთა კოდექსის 47 მუხ. I შენიშვნა, მხოლოდ ავალებს დამქირავებელს თავის უფლების განსახორციელებლად წინასწარ დასვას საკითხი სამომრიგებლო ორგანოში და თუ მხარეთა შორის შეთანხმება არ იქნება მიღწეული საკითხი განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს ხაზით: სასამართლო ორგანოები უფრო შორს წავიდა და განმარტა, რომ თუ საკითხის გარშემო შემფასაკომში შეთანხმება არ იქნება მიღწეული ან სრულიად არ ყოფილა კონფლიქტები განხილული, შრომის სასამარ-

*) Каминская. Советское трудовое право. гл. 132.

**) სხვა ავტორებთან ერთად შემცდარ გზაზე სდგას ანზ. მ. ქორჭაშვილი—(იხ. საბჭოთა სამართალი № I 1929 წლ.) ის სწერს „შეუძლია თუ არა დამქირავებელს აღძრას უშუალოდ შრომის სასამართლოში სარჩელი მომუშავეს უვარგისობის აღიარებისა და ამ საფუძვლით შრომის ხელშეკრულების მოშლის შესახებ. დასმული საკითხი უსათუოდ უარყოფითად უნდა გადაიჭრას საკითხის ამ მიმართულებით დასმა ნიშნავს მუშათა კლასის ორგანოების უუფლებო მდგომარეობაში ჩაყენებას.

თლოები ვალდებულნი არიან მიიღონ წარმოებაში აღნიშნულ კატეგორიის საქმეები და მისი გამორკვევის შემდეგ გამოიტანონ საბოლოო გადაწყვეტილებანი *).

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 29 აგვისტოს 1928 წლის კანონით შ.ს. კომისიის ფუნქციები გაფართოებული იქნა და უკანასკნელის გამგებლობაში სხვა საკითხთა გარდა შედის კონფლიქტი მომუშავეების დათხოვნის შესახებ, უვარგისობისა და მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო. შ.საკონფლიქტო-კომისიის დებულებაში (მუხ. 11) ნათქვამია „კონფლიქტები მუშაკის უვარგისობისა და მოვალეობის სისტემატიურად შეუსრულებლობისას წინასწარ განხილულ უნდა იქნეს (განკარგულების გაცემამდე დათხოვნის შესახებ) შემფასკომში“.

განვიხილოთ საკითხი თანამიმდევრობითი:


1) დამქირავებელი სვამს საკითხს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში მუშაკის მიერ უვარგისობის ან მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო, დათხოვნის გარშემო მხარეებს შორის (მუშათა ფრაქცია და ადმინისტრაციის წარმომადგენლები) შეთანხმება ხდება, აღნიშნული ორგანოს გადაწყვეტილებით შრომითი ხელშეკრულება გაუქმებულად ცხადდება. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი პირველად ინსტანციაში მთავრდება და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ექნება. შესაძლოა შემფასებელი საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნას შრომის ორგანოების მიერ, ასეთ პირობებში შრომის ორგანოს შეუძლია საქმე გადაეზანოს ხელახლად განახილველად იმავე შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში ან სახალხო სასამართლოს შრომითი სესიებში.

2) დამქირავებელმა მოახდინა შრომითი ხელშეკრულების გაუქმება მუშაკთან შრ. კან. კოდ. 47 მუხ. 1 შენიშვნის დარღვევით ე. ი. საკითხი წინასწარ არ დასვა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში, სად უნდა გაირჩეს კონფლიქტი და რა ვალდებულება დაეკისრება დამქირავებელს? როგორც სამართლიანად განმარტავს რუსეთის შრომის სახალხო კომისარიატი შეუფასებელ საკონფლიქტო კომისიაში (ჩვენ კი დაუმატებთ შრომის სასამართლოშიც) შეიძლება დასმულ იქნას საკითხი მუშაკის აღდგენის თაობაზე დამქირავებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის საქმის აღძვრით (Известия НКТ Союза № 47-48-28) ასეთ შემთხვევაში სასამართლო უმართლებულოდ დათხოვნილ მუშაკს აღადგენს ბრძანების წესით, საქმის არსებითად განუხილავათ. აღნიშნული გარანტიებით მუშაკთა ინტერესები სრულად დაცული.

3) შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში მხარეთა შეთანხმება არ მოხდა მუშაკის დათხოვნის გარშემო შრ. კანონთა კოდექსის 47 მუხ. პუნქტი „გ“ და „დ“ საფუძველზე (უვარგისობა და მოვალეობათა შეუსრულებლობა).

47 მუხლის I-ლ შენიშვიდან ზოგიერთ ავტორებს ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ თუ არ არსებობს გადაწყვეტილება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ან თუ მხარეთა შორის შეთანხმება არ იქნება მიღწეული, სასამართლო ორგანოები ვალდებულნი არიან აღნიშნული საკითხის განხილვისას მუშაკები დათხოვნილი აღნიშნულ საფრძველით მექანიკურად აღადგინონ სამსახურებრივ უფლებებში—

*) об. Практика Верховуда РСФСР по трудовым гражданским делам—изд. Вопросы труда 1928 год.



ეკრდნობიან რა შრ. კან. კოდ. 47 მუხ. I შენიშვნას და ა/კ. შრომის კომისია-რიატის 19 დეკემბრის 1928 წლის განმარტებას.

აღნიშნული განმარტების შესახებ უნდა ითქვას, რომ—უკანასკნელში ნათქვამია „შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის სანქციის გარეშე სამომრიგებლო და სასამართლო ორგანოებში, საკითხი შეიძლება დაისვას, მხოლოდ მუშაკის აღდგენის შესახებ მაგრამ განმარტებაში არ არის ნათქვამი „восстановление без рассмотрения вопроса по существу“ განმარტების მეტად ზოგად ფორმულის გამო შეუძლებელია დასკვნის გამოტანა რომ თითქოს საქმის არსებითად განხილვა შრომის სასამართლოში შეუძლებელი იყოს.

ასეთ განმარტების გამოტანა არც შეეძლო ა/კ. შრომის სახალხო კომისი-რიატს, რადგან ეს კანონის ტექსტის საწინააღმდეგო დებულება იქნებოდა კავ-შირის კონსტიტუციის მიხედვით, (მუხ. 43) მხოლოდ საკავშირო უხ. სასამართ-ლოს პრეროგატივაში შედის განმარტების გაცემა საკავშირო კანონმდებლობის გარშემო.

შრომის კანონთა კოდ. 47 მუხ. I შენიშვნის შესახებ პროფ. ვოტინსკი შემდეგ აზრს გამოსთქვამს: „თანხმად 1-ლ შენიშვნის შრ, კანონთა კოდექსის 47 მუხ. დამკირავებელმა აღნიშნული უფლება უნდა განახორცაელოს შემფასე-ბელ-საკონფლიქტო კომისიის მეშვეობით, მაგრამ თუ მხარეთა შორის შეთან-ხება არ არის მიღწეული, მაშინ დამკირავებლის უფლება უნდა ჩაითვალოს ღიად და დათხოვნის საკითხის მოწესრიგება უნდა მოხდეს სასამართლოს გადა-წყვეტილებით“ *).

გაზეთი „პრავდა“ შრომის დისციპლინის საკითხის ირგვლივ შექმნევს სწერს „საჭაოა რომ ის პირები, რომლებიც დათხოვნილი არიან შინაგანი განაწესის დარღვევისათვის მექანიკურად უკანვე არ უბრუნდებოდეს საწარმოოს“ **). შრომის კონფლიქტების განხილვათა წესების 21 და 48 მუხ. და შ. ს. კომისიის დებულების 41 მუხ. მიხედვით საქმეები, რომელზედაც მხარეთა შეთანხმება არ არის მიღწეული გადაეცემა განსახილველად—სარჩელის ხასიათის კონფლიქტებ-ზე სახალხო სასამართლოს შრომითი სესიებს. საკითხის ზემოაღნიშნულ ანალი-ზიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გავაკეთოთ:

უკეთუ მუშაკის დათხოვნის ირგვლივ უვარგისობისა და მოვალეობის სი-სტემატიურად შეუსრულებლობის საფუძველზე შემფასებელ საკონფლიქტო კო-მისიაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული და მუშა-მოსამსახურე დათხოვნილი იქნება სამუშაოდან, შრომის სასამართლოები ვალდებულნი არიან მიიღონ მუშა-მოსამსახურე თა საჩივარი, კონფლიქტი არსებითად განიხილება და სასამართლო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას; საკითხის ამდაგვარად დასმა ლოლიკუ-რაა და სრულებით შეეფარდება შრომის კანონმდებლობის პრინციპებს. საქარ-თველოს უხ. სასამართლოს 1929 წლ. 17 იანვრის განმარტების მიხედვით სა-კითხი ამ კონკრეტული შინაარსით არის მოწესრიგებული.

ჩვენ გვინდა შევებოთ უხ. სასამართლოს განმარტების ზოგიერთ მხარეს.

*) ვოტინსკი Трудовое право СССР გვ. 293.

**) Правда 31 января 1929 года.

უზენაეს სასამართლოს მიერ განმარტებულია რომ უკეთეს მუშაკის დათხოვნა უვარგისობისა და მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო მოხდება შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის გარეშე, დათხოვნილი მუშაკა აღდგენილ უნდა იქნას თავის თანამდებობაზე ბრძანების წესით; ამავე დროს უკანონო მოხსნილის სამუშაოზე აღდგენისთანავე ადმინისტრაცია შრ. კონ. განილგათა წესების მე-12 მუხ. საფუძველზე დასვამს საკითხს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე. საკითხის ასეთი დაყენება არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, რადგან არ არის სავალდებულო და მიზანშეწონილიც მუშაკის მატერიალურ უფლებებში აღდგენის შემდეგ დაისვას საკითხი იმავე დროს საკონფლიქტო წესით.

უზენაეს სასამართლო შემდეგ კიდევ განმარტავს „იმ შემთავებაში, თუ სასამართლო მშრომელის დათხოვნას სცნობს სწორად დათხოვნა ჩაითვლება დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილებისა“ აქ ერთგვარი შეუსაბამობაა, რადგან თუ არსებობს მუშაკის ბრალეულობა შრომის დისციპლინიდან გამომდინარე ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან თუ აღმოჩნდა დაქირავებულის უვარგისობა სამუშაოსათვის—შრომითი ხელშეკრულების გაუქმება უნდა ჩაითვალოს ბრალეულობის მომენტიდან.

ამრიგად აღნიშნულ საფუძველებზე შრომითი ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევებში—სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) საკითხი მუშაკის დათხოვნის შესახებ უვარგისობისა და მოვალეობათა სისტემატიურად შეუსრულებლობის გამო განხილულ უნდა იქნეს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში, როგორც პირველად ინსტანციაში; თუ ეს წესი დამქირავებელმა დაარღვია უკანასკნელი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული სისხლის სამართლის წესით და მუშა-მოსამსახურე კი დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას თანამდებობაზე ბრძანების წესით.

ბ) თუ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიაში შეთანხმება არ იქნება მიღწეული და მიუხედავად ამისა მუშა მოსამსახურე დათხოვნილი იქნება სამუშაოდან—შრომის სასამართლოები ვალდებულნი არიან მაიღონ წარმოებაში მუშა-მოსამსახურეთა საჩივრები, განიხილონ კონფლიქტი არსებითად და გამოიტანონ სათანადო გადაწყვეტილება მუშაკის დათხოვნის ან სამსახურებრივ უფლებებში აღდგენის თაობაზე.

მ. თუხანიშვილი.

სისხ. სამართ. კოდე. 162 მუხ. შესახებ*).

იმ დანაშაულთა ჯგუფს, რაც საგვარეულო ყოფა—ცხოვრების ნაშთს წარმოაჩენს ეკუთვნის თავის შინარსით კავკასიის ერებში გავრცელებული ბორტმოქმედება-ქალის მოტაცება — გათვალისწინებული საქართვე. მოქმედ ს. ს. კ. 162 მ.

ამ დანაშაულს უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს მდაბალი, ქვენა—სტიმული, რაც გამოიხატება იმ ჩამორჩენილ შეხედულებაზე, რომ ქალი წარმოა-

*) დისკუსიით.

დგენს არა სრულ—უფლებიან მამაკაცთან გათანასწორებულ არსებას, არამედ კერძო საკუთრების უფლებაზე აღმოცენებულ ფუფუნების საგანს. ე. ი. შეხედულებაზე, როქელსაც სასტიკათ ებრძვის საბჭოთა ხელისუფლება, როგორც კულტურულ ფრონტზე, ისე კანონმდებლობის სახით. ს. ს. კ. 162 მ. არის ერთ ერთი გამოცხადი ამ ბრძოლისა, ნაგრამ რათა ბრძოლამ ამ მუხლში გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებასთან მიადწიოს უფრო ნაყოფიერ შედეგებს მიხანშეწონილათ უნდა იქნეს მიჩნეული ამ 162 მ. რედაქციის შევსება და შეცვლა ვინაიდან ამ მუხლს რედაქცია დამაკმაყოფილებლათ ვერ ჩაითვლება. ჯერ ერთი გამოურკვეველია გულისხმობს, თუ არა ეს მუხლი ქალის გაუპატიურებას (გახრწნის, ანუ სქესობრივი ძალადობის სახით) მოტაცების დროს. ე. ი. ს. ს. კ. 162 მ. აერთებს ამ ორ ბოროტმოქმედებას, ანდა გულისხმობს მხოლოდ ქალის მოტაცებას და თუ მას მოჰყვა შემდეგში ქალის გაუპატიურება ეს უკვე არის ცალკე დანაშაული სქესობრივ სფეროში და სოციალური დაცვის ღონისძიება განისაზღვრება ს. ს. კ. 46 მ. ნაჩვენებ წესის მიხედვით თუ კი მოტაცება და მასზე მოყოლილი ქალის გაუპატიურება წარმოადგენს ორ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებას. მაშინ არ არის სწორი მითითება—ს. ს. კ. 162 მ. საქორწინო ჰასაკზე, ვინაიდან, თუ გადავხედავთ ს. ს. კ. 167 და 163 მუხ. ლაპარაკი არის სქესობრივ სიმწიფეზე და არა საქორწინო ჰასაკზე, რადგან საქორწინო ჰასაკი და სქესობრივი სიმწიფე ორი სხვა და სხვა ცნებაა. შეიძლება ქალმა არ მიადწია საქორწინო ჰასაკს (16 წ.) მაგრამ, სქესობრივით მომწიფებული იყოს. ამ რიგით, ქალის მოტაცება რომელიც სქესობრივით მომწიფებული არის და გაუპატიურება მისი სქესობრივ ძალადობის სახით უნდა მიეკუთნოს ორ დანაშაულს ს. ს. კ. 162 მ. და ს. ს. კ. 170 მ. 1 ნაწ., რაც არ არის სწორი ვინაიდან მხოლოდ მოტაცება ქალის მის გაუპატიურებლათ ითვალისწინებს უფრო დიდ ზომას სოციალურ დაცვის ღონისძიებისას (თავისუფლების აღკვეთა რვა წლამდე.), ვიდრე მისი გაუპატიურება სქესობრივ ძალადობის სახით, რადგანაც თუ ქალი სქესობრივით მომწიფებული არის, (თუმცა ჯერ კიდევ არ მიულწევია საქორწინო ჰასაკს) და გაუპატიურებული იქნება სქესობრივ ძალადობის სახით, სახეზე გვაქვს ს. ს. კ. 170 მ. 1 ნაწ რომელიც ითვალისწინებს სოც. დაცვის ღონისძიებას—თავისუფლების აღკვეთას უთ წლამდე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ს. ს. კ. 162 მ. ახლანდელი რედაქცია თავისშინაარსით ითვალისწინებს მხოლოდ ქალის მოტაცებას და თუ მას მოჰყვა გახრწნა, ანუ სქესობრივი ძალადობა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს ცალკე ბოროტმოქმედება სქესობრივ სფეროში.

გაუგებრობის ასაცილებლათ ს. ს. კ. 162 მ. 2 ნაწ. უნდა იქნეს შესწორებული იმ მხრივ, რომ საქორწინო ჰასაკის მაგიერ, აღნიშნოს სქესობრივი მოუმწიფებლობა.

გარდა ამისა უნდა იქნეს შეტანილი განსხვავება ორ ქმედობათა შორის ე. ი. ქალის მოტაცებას და მის გაუპატიურებას; სრულიად ზედმეტი არის ს. ს. კ. 46 მ. გათვალისწინებული წესის შეფარდება, როდესაც ეს 162 მ. შეიძლება თავის თავად იქნეს გაფართოებული იმ მხრივ, რომ იქნეს ნაჩვენები უფრო სასტიკი სოციალური დაცვის ღონისძიება იმ შემთხვევაში თუ კი მოტაცებას მოჰყვა ქალის გაუპატიურება.

შემდეგ ამისა უნდა აღინიშნოს ერთგვარი განსხვავება, იმის და მიხედვით თუ რა პირობებში არის ჩადენილი ქალის მოტაცება.

არის ჩვენ სინამდვილეში შემთხვევები, როდესაც მამაკაცი იტაცებს ქალს, მაგ. გზაში უიარალოთ და არის შემთხვევები, როდესაც ქალს იტაცებენ ყაჩაღური თავდასხმის სახით, იარაღით ხელში, დამუქრებით და სხვა სიცოცხლისათვის საშიშარი საშვალებით ე. ი. კანონი უნდა ითვალისწინებდეს ტიპიურ შემთხვევებს, ამიტომაც ეს გარემოება როგორც ქალის გაუპატიურება მოტაცების დროს, აგრეთვე პირობები მოტაცების უნდა იქნეს აღნიშნული კანონში.

ამ რიგათ ს. ს. კ. 162 მ. უნდა დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგ შინაარსისა:

„თუ მოტაცებას მოჰყვა გახრწნა სქესობრივად მოუწიფებელ პირისა, ან და სქესობრივი ძალადობა როგორც სქესობრივ მოუწიფებელ, ისე სქესობრივად მომწიფებულ ქალისა, ან მოქმედებული იყო სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიშარ მოქმედებით“. სოციალური დაცვის ღონისძიება უნდა იქნეს ნაჩვენები უფრო სასტიკი-თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე სასტიკი იზოლიაციით—ვინაიდან ამ 3 ნაწილში აღნიშნული ქმედობა შეიცავს უფრო დიდ დანაშაულს, სოციალურად უფრო საშიშ ქმედობას. ამ ცვლილებების შეტანა და გაფართოება ს. ს. კ. 162 მ. მესამე ნაწილით მიაღწევს ნაყოფიერ შედეგებს. ამიტომაც უნდა იქნეს ცნობილი მიზანშეწონილად.

პრაქტიკოსის შენიშვნები *)

გ. ფრცხლავა.

სახ. სასამ. მუშაობის შესახებ.

I.

სასამართლოს ბიუჯეტში გათვალისწინებულია სესიებისა და მივლინებისათვის თანხები. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები და მდივნები მიდიან სესიებზე ან მივლინებებში და მივლინების გარდა ისინი იღებენ ლამის გასათევის ბინის ქირად 3 მანეთს. სინამდვილეში კი მათ არაფერი არ ეხარჯებათ, მით უმეტეს სოფლად და თუ ეხარჯებათ ისიც 30 პროც. აღნიშნული თანხისა. სოფლის სინამდვილეში 3 მანეთად შეგვიძლია ერთი კვირით ვიქირავოთ საუკეთესო ოთახი გლეხისაგან. ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ ცხადია უნდა შემცირდეს სესიებისათვის გათვალისწინებული ხარჯები.

*) დისკუსიის წესით.

II.

საადგილ-მამულო საქმეებში დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ და-თვალიერებას, ვინაიდან ეს მეტად არკვევს საქმეს და მეტს საშუალებას იძლევა სწორი გადაწყვეტილება გამოვიტანოთ. მაგრამ ღარიბ გლეხობას არ შეუძლიან გამოიღოს თანხა ადგილობრივი დათვალიერებისათვის და სასამართლო ხშირად ეყრდნობა მარტოოდენ მოწმეების ჩვენებას. ამის გამო საქმე არ ირკვევა ყო-ვოველმხრივ და მოსალოდნელია არა სწორი გადაწყვეტილების გამოტანა.— იმისათვის რომ ასეთი შედეგი თავიდან ავიცილოთ, სასამართლოს უნდა დაე-ვალოს აუცილებლად მოახდინონ ადგილობრივი დათვალიერება, ისე, რომ ხარ-ჯი გლეხობას არ დააწევს, მოსამართლესა და მდივანს კი უნდა მოემატოს ცო-ტათი მაინც თვიური ხელფასი ადგილობრივი დათვალიერებისათვის გასაწევი ხარჯის დასაფარავად.

III.

რომ უფრო მჭიდროთ დაუახლოვდეს სასამართლო გლეხობას საჭიროა განსაზღვრული იქნას დღეები ყოველ წლიურად და ამის მიხედვით მოხდეს სესიების ჩატარება. ამისათვის ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მომატებული იქნას თვიური ხელფასი და დღიურები მოეხსნას საესებით.

IV.

საჭიროა ყოველ წლიურად, განსაზღვრულ დროს, მოეწყოს უბნების სა-ხალხო მოსამართლეების თათბირი მხარის სასამართლოებთან. ასეთი თათბირე-ბით შეიძლება გამოსწორებულ იქნას ნაკლი მოსამართლეების მუშაობაში.

V.

როცა მხარის საკასაციო საჩივრის გამო გადაწყვეტილება მოდის დარღ-ვეული, ირკვევა, საქმე სხვა უბნის სახ. სასამართლოს გადაცემა და გლეხს თა-ვის უბნის მაგივრად უხდება სხვა უბნის სახ. სასამართლოში ჩასვლა საქმის მოსასმენათ. გლეხმა თან უნდა აიყვანოს მოწმეები. რითაც ამით ისინი ეწყვიან ზედმეტ ხარჯს და ცდებიან სამუშაოს. ჩვენის აზრით უმჯობესი იქნებოდა, რომ დარღვეული საქმეები იგზავნებოდეს იმავე სასამართლოში, რომელმაც გაუქმე-ბული გადაწყვეტილება გამოიტანა, მათი ხელახლად გარჩევა ევალბოდეს სხვა მოსამართლეს.

ი. კატიტაძე.

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა სასამართლოში გამოწვევით მონაცდენის ანაზღაურებებს შესახებ.

ყველა სასამართლოს მუშაკისათვის ცხადია, რომ სახელმწიფო დაწესებულებები დიდ ზარალს ნახულობენ, როდესაც ამა თუ იმ დაწესებულებების თანამშრომელი არის დაბარებული სასამართლოში მოწმეთ ან ექსპერტად და მთელ დღეებს აცდენს ამის გამო.

ხაზ გასმით უნდა აღენიშნოთ, რომ ამისთანა კერძო ხასიათის საქმეებზე მოდავე მხარეები ბევრ თანამშრომელს აცდენენ და დიდ ზარალსაც—აძლევენ სახელმწიფოს. ამისათვის ჩვენ ვფიქრობთ მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიება: ვინც აცდენს სახელმწიფო თანამშრომელს და ამით აძლევს ზარალს ამ უკანასკნელს, მან პასუხი უნდა აგოს სახელმწიფოს წინაშე სამოქალაქო კოდექსის 403 მუხლის თანახმად. მოსამართლეს უფლება უნდა მიეცეს გამოარკვიოს პროცესის დროს მოცდენილი მოწმის ან ექსპერტის დღიური ხელფასი და საქმის დამთავრების დროს გადაწყვეტილებაში სხვა ხარჯებთან ერთად დააკისროს მხარეებს და თანახმდ სამ. საპ. კოდ. 46,47, და 48 მუხლებისა განაწილდეს მხარეთა შორის ან ერთ ერთ მხარეს გადახდეს სახელმწიფოს სასარგებლოდ ასეთივე წესი უნდა იქნეს მიღებული სისხლის სამართლის საქმეებზედაც.

ძღვეამოსილ სოციალისტურ აღმშენებლობის 8 წელი საბჭოთა საქართველოში, უტყუარი საწინდარია ჩვენი შემდგომი გამარჯვებების

იურიდიული დახმარება

კითხვა.

მე განქორწინებული ვარ. ბავში ჩემთან არის. ყოველ ქმარს სასამართლომ დააკისრა ბავშვის საზრდოთ თვეში ხუთი მანეთს გადახდა. ჩემი ნავთიერი მდგომარეობა უკიდურესად გაჭირვებულია. ყოფილი ქმრის ნივთიერი მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია ამჟამად. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო სასამართლოს წესით ბავშვისთვის მისჯილი განაკვეთის (ხუთი მანეთის). გადიდება?

ნაღია გაბუნია

პასუხი.

თუ თქვენი ყოფილი ქმრის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა მის შემდეგ, რაც სასამართლოში დამთავრდა საქმე საზრდოს შესახებ, თქვენ სრული საფუძველით გაქვთ ახალი სარჩელით მოითხოვოთ მოსჯილი საზრდოს გადიდება ბავშვის მოთხოვნილების და თქვენი ყოფილი ქმრის ეხლანდელი მატერიალური მდგომარეობის მიხედვით.

კითხვა.

პროკურატურაში აღმოჩნდა სარევიზიო აქტი, რომელიც რემენქტონზე დაბეჭდილი და ხელს აწერს ვინმე ბაქრაძე (ყოფ. პოლკოვნიკი), ხოლო დამოწმებული არავისგან არ არის. სხვათა შორის აქ აღნიშნულია ვითომ მე, რევიზიის დროს ახალი ენების კურსებზე, ფული დამკლებოდეს. სინამდვილეში არავითარ დანაკლის ადგილი არ ქონია. ეს აქტი გადაცემა გამოძიებელს, რომელსაც არ დაუკითხავს ჩემთვის და არც სამფინგანისათვის და საქმე მოსასპობად წარუდგენია. პროკურორის განკარგულებით ქ. მე 11-უბნის სახალხო სასამართლოს საქმე მოუსპია მე 41 თანახმად, ხოლო მე და არც სხვა პირები არ გამოუწვევია და საქმე არ გაურჩევია. ეს საქმე მე გავიგე რამოდენიმე ხნის შემდეგ მისი მოსპობისა. ახლა გეკითხებით:

1. ვითვლება თუ არა მე პასუხისგებაში მიცემულად ზემოხსენებული გარემოების მიხედვით.

2. აქვს თუ არა უფლება მე 11-უბნის სასამართლოს მომცეს მოწმობა, რომ მე პასუხის გებაში მიცემული არ ვყოფილვარ.

3. ეს საქმე რომ გარჩეულიყო პირველად მე როგორ უნდა დავკითხულიყავი როგორც მოწმე თუ არა. და თუ აღმოჩნდებოდა რომ მე მართლა ფული დამკლებია სხვებთან ერთად მეც უნდა ვყოფილიყავი პასუხის გებაში მიცემული თუ არა.

პასუხი.

1. ისეთ საქმეზე, რომელიც გამომძიებლის წარმოებაში ყოფილა და წარმართულია მოსასპობად პროკურორის მეშვეობით, ესა თუ ის პირი გამოძახებაში მიცემულად, როგორც ბრალდებული, ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებლის მიერ შესრულებულია სისხ. სამ. საპრ. კოდექსის 128 მუხ. ყველა მოთხოვნა, ე. იგი, თუ გამომძიებელს შეუდგენია დასაბუთებული დადგენილება აღნიშნული პირის, როგორც ბრალდებულის, გამოძიებაში მისაცემად და ეს დადგენილება ამ პირისთვის განუცხადებია.

სამართალში მიცემაც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება აღნიშნული წესი.

2. ვინაიდან თქვენ არ ყოფილხართ პასუხისგებაში მიცემული როგორც ბრალდებული, სასამართლო ვალდებული არ არის მოგცეთ მოწმობა (ან დადგენილების ასლი საქმის მოსპობის შესახებ). იმისა, რომ თქვენ პასუხისგებაში არ ყოფილხართ მიცემული, მაგრამ ამისთანა მოწმობის გაცემა კანონით აკრძალული არ არის.

3. საქმის გარჩევის დროს, როგორ უნდა დაკითხულიყავით თქვენ როგორც მოწმე თუ როგორც ბრალდებული—დამოკიდებულია იმაზე—მიცემული იყავით თუ არა პასუხისგებაში როგორც ბრალდებული.

**საბჭოთა საქართველოს არსებობის 8 წლის
თავზე—სასამართლო ორგანოებმა უფრო მეტად
უნდა გაამახვილონ კლასიურ პოლიტიკის
გატარება!**

გიგლიოგრაფია

მელიტონ შარაშიძე —, სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახეები“.

შალვა მელაძის — წინასიტყვაობით და რედაქციით გვ. 140. ტფილისი
1929 წ. ფასი 1 მან.

სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე უდავოთ ადასტუ-
ვებს იმ დებულებას, რომ დამნაშავეთათვის ამა თუ იმ სოციალური დაცვის ღონისძიებების
შეფარდება (ფიზიკური განადგულება ან უფრო მსუბუქ ღონისძიების შერჩევა) ვერ იქნება
შეყენებული რაციონალურ ნიადაგზე, თუ არ ვემყარებით დამნაშავეთა და დანაშაუ-
ლობათა სელრიოზულ შესწავლას.

სარეცენზიო წიგნაკის გამოცემამ სავეებით დადასტურა ის არა სასურველი გარემოება,
რომ ჩვენში მეტად უპასუხისმგებლობით ეკიდებიან აღნიშნულ საქმიანობას.

მ. შარაშიძის ბროშურა სერიოზულ კრიტიკის გარეშე უნდა დარჩეს, არა მარტო იმი-
სათვის, რომ ავტორს არ გააჩნია მეთოდოლოგიური და იდეოლოგიური კვლევა-ძიების გზა,
არამედ იმიტომაც, რომ ტფილ. სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის მასალების სისტე-
მატიზაციაც კი — ვერ მოუხერხებია სათანადოდ.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს ის დაუდევრობა, რომელიც სარეცენზიო წიგნს ახასიათებს
აუარებელ იდეოლოგიური „ლიაპუსების“ ს. ხით და რომელთა აღნიშვნისათვის ნახევარი წიგ-
ნის გადმობეჭედა იქნებოდა საჭირო — განსაკუთრებით მასალების კომენტარულ ნაწილში.

თუ საერთოდ ცნობილია ის გარემოება, რომ ინდუსტრიალურ ქალაქების მანქანურ და
კომერციულ საქმიანობას თან ახლავს აღმაშფოთებელი და საზარელი კრიმინალური ტიპე-
ბი, როგორც მახინჯი მექვიდრეობა კაპიტალისტურ მეურნეობის სისტემისა, მაშინ ყველასათ-
ვის ცხადი უნდა იყუეს, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპების სავეებით
გატარებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობას არა მარტო დამნაშავეთა დენაში,
არამედ ბოროტმომქმედ პიროვნებათა და ბოროტმოქმედებათა შესწავლაშიც — ამ უკანასკნელთა
აღიარებაზე უკეთეს. ამ მხარე რ. ს. ფ. ა. რ. მაშტაბით და ი „დამსახურება მიუძღვის „დანაშაულო-
ბათა შემსწავლელ სახელმწიფო ინსტიტუტს მაგ. დამნაშავეთა პირვნებისა და დანაშაულობათა
შესწავლელ კაბინეტმა მოსკოვში თავის არსებობის მოკლე ისტორიის მიუხედავად შესძლო დაე-
მუშავებია: — მკვლელობა, ხულიგნობა, ქურდობა, სქესობრივი დანაშაულობა, მფლანგველო-
ბა და სხვ. სისხლის სამართლის და სოციალ-ეკონომიურ სტატისტიკისა და ფაქტების სერიოზუ-
ლი ანალიზით. ჩვენში კი კრიმინალური სამყარო სრულიად მითოვებული და ხელშეუხლებე-
ლია მიუხედავად იმისა, რომ აუარებელი ფაქტები მოგვეპოება, რომელთა მარქსისტული ღრმა
ფსიქო-სოციოლოგიური დამუშავება მეტად საინტერესო დასკვნებს მოგვეცემდა პრობლემის რა-
ციონალურ გადაჭრისათვის.

მ. შარაშიძის ბროშურის გამოქვეყნების შემდეგ მაინც უნდა დაუფიქრდეს იუსტიციის
და შინაგან საქმ. სახ. კომისარიატები, რე. სახ. უნივერსიტეტის სისხლისა და პენტენციალურ სა-
მართლის კათედრები — სათანადო კლინიკებთან ერთად — რომ საქიროა და დროული ხელი მოე-
კიდოდ დამნაშავე პიროვნებათა და დანაშაულობათა პრობლემის სერიოზულ შესწავლას.

სარეცენზიო წიგნაკს „როგორც პირველ ცდას დამნაშავეთა და დანაშაულობათა შეს-
წავლის მასალების დაგროვების საქმეში“ ერთგვარი გამართლებაც აქვს და ამიტომ სასურვე-
ლია მისი გავრცელება

რეცენზენტი.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

1929 წ. თებერვლის 1-დან თებერვლის 15-მდე.

ს. ს. რ. კავშირის კანონმდებლობა.

ფინანსები.

გამოცა ს. კ. ს-ის დადგ. „ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის მოკლევადიან ფულად ვალდებულებათა და ამ ვალდებულებათა კუპონების განაწილების შესახებ ათი წლის განმავლობაში ფულის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ“ („იზვესტია“ № 29, 1922 წ. თებერვალი 5)

გამ. ცაკისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. თებერვლის 13 დადგ. „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის შესახებ“ („იზვ.“ № 38, 1929 წ. თებ. 15.)

შრომბ.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. იანვრის 11 დადგენილებით „იმ წესის შესახებ, რომლითაც დამქირავებელს უნდა დაეკისროს დახმარების გაცემა მუშა-სამსახურეთათვის დროებითი არაშრომარაღიანობისა ან შვილის დაბადების გამო ან დამარხვისათვის“ ისეთ ადგილას, სადაც ტექნიკური პირობების გამო (მუშა-სამსახურეთა მცირე რიცხვი, მათი დაფანტულად მუშაობა და სხვ.) სოცდაზღვევის ორგანოები ვერ გაუწევენ საჭირო სამსახურს დაზღვეულთ ან და ეს სამსახური დაკავშირებული იქნება ზედმეტ ორგანიზაციულ ხარჯებთან, დამქირავებელს შეიძლება დაეკისროს მისცეს თავის მუშა-მოსამსახურეთათვის აღნიშნული დახმარება კანონში განსაზღვრულ რაოდენობით და ვადებში. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი განთავისუფლდება სოცდაზღვევისათვის შესატან თანხის 50 პროცენტისაგან. („იზვ.“ № 30, 1929 წ. თებ. 6.)

გამოქვ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. დეკ. 19 დადგ. „შეღვათების შესახებ შუა-აზიის რესპ., ყიზანის ავტონ. ს. ს. რ. და ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ-ის წყალთა-მეურნეობის დაწესებულებათა სპეციალისტებისათვის“ („იზვ.“ № 29, 1929 წ. თებ. 15).

ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. დეკ. 28 დადგენილებით „გზათა სახ. კომისარიატის გზების დაცვის გასამხედროებულ შედგენილობის პირებზე იმ შეღვათების გავრცელების შესახებ, რაც დაწესებულია იმ დაწესებულებათა და ნაგებობათა გასამხედროებულ დაცვის პირადი შედგენილობისათვის, რომელთაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ“, აღნიშნულ პირებზე გავრცელებულია ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. ავგ. 31 დადგ. (კან. კრ. 1928 წ. № 57, მუხ. 501) მოქმედება. („იზვ.“ № 30, 1929 წ. თებ. 6.)

გადასახადები და გამოსაღებები.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1929 წ. თებ. 8 დადგენილებით „ერთიანი სახ.-სამეურნეო გადასახადისა და საშუალო გლეხობის დაბეგვრის შემსუბუქების შესახებ“

შემცირებულია სას.-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი და საშუალო გლეხობას მინიჭებული აქვს შეღავათები სას. მეურნეობის ყველა დარგში. ს. ს. რ. კავშირის ს. კ. ს-ოს დავევალა ურთიანი სას.-საძ. გადასახადის ახალი დებულების პროექტის შედგენა ამა დადგენილების საფუძველზე. („იზგ.“ № 39, 1929 წ. თებ. 9).

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1928 წ. დეკ. 19 დადგენილებით „წმინდა და სხვილი მატყლის ნაქსოვების აქციზით დაბეგვრის წესის შესახებ“ შეცვლილია რედაქცია ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს მისი ზოგიერთი აქციზის განაკვეთის შეცვლის თაობაზე 1925 წ. მარტის 26 თარიღით, გამოც. დადგენილების (კან. კრ. 1926 წ. № 21, მუხ. 137). დანართის შენიშვნისა. დადგ. ძალაში შედის 1929 წ. იანვრის 1-დან. („იზგ.“ № 29, 1929 წ. თებ. 5).

ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1929 წ. თებ. 8 დადგენილებით „პურის და ყურძნის არაყის, კონიაკის, არყით ნაკეთების და ლუდის აქციზით დაბეგვრის ზომის შესახებ“ შეცვლილია დაბეგვრის ზოგიერთი წარსებული განაკვეთი („იზგ.“ № 34, 1929 წ. თებერ. 10).

გამოქვ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს 1929 წ. თებ. 6 დადგ. „ყურძნის ღვინის გამაგრების საჭაროებისათვის გაცემული პურ-კარტოფილის, სპირტის აქციზით დაბეგვრის ზომის შესახებ“ („იზგ.“ № 34, 1929 წ. თებ. 10).

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა.

კრედიტი.

ს. კ. ს-ოს მიერ „საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა (ნორმალური წესდების § 2-ის მე-2 შენიშვნით შევსების შესახებ“ 1929 წ. იანვრის 31 თარიღით და 99 №-ით გამოც. დადგ. ძალით ამგვარ საზოგადოებათა წევრობა არ შეუძლიან სახელმწიფო და კოოპერატიულ საზოგადოებათა (სადაც სჭარბობს სახ. ან კოოპ. კაპიტალი) მუშა-მოსამსახურეთ. („ზარ. ვოსტ.“ № 35, 1924 წ., თებ. 13).

ფინანსები.

ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ოს 1929 წ. იანვ. 28 დადგენილებით დამტკიცებულია „დებულება ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ.-ში სასოფლო-მეურნეობისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ ადგილობრივ ბიუჯეტით“ („ზარ. ვოსტ.“ № 29, თებ. 6).

ზომი-წონა.

ს. კ. ს-ოს 1929 წ. იანვ. 31 დადგ. № 100 „ხე-ტყის დამზადების საქმეში და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში მეტრიულ ზომათა სისტემის საბოლოოდ გატარების შესახებ“ გამოც. ამ. კავკ. ტყეებში ხე-ტყის აღსარიცხავ ღონისძიებათა თაობაზე ს. კ. ს-ოს მიერ 1928 წ. ოქტ. 28 თარიღით და 70 №-ით გამოც. დადგენილების (კან. კს. 1928 წ. № 20, მუხ. 228) განსავითარებლად („ზარ. ვოსტ.“ № 26, 1929 წ. თებ. 14).

ბადასახადები და გამოსაღებები.

ს. კ. ს-ოს 1929 წ. იანვ. 31 № 98 დადგენილებით „ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე 1928-29 საგანაკვეთო წელს წყლის გამოსაღების გატარების თაობაზე ამ. კავკ. ს. ფ. ს. რ. ს. კ. ს-ოს მიერ 1928 წ. დეკ. 27 თარიღით და 84 №-ით გამოცემული დადგენილების მე-6 § შეცვლის შესახებ“ საბოლოოდ ვადად წყლის გამოსაღების შესატანად დანიშნულია 1929 წ. მარტის 1. მე-6 §. შენიშვნა ძალაში რჩება. („ზარ. ვოსტ.“ № 27, 1929 წ. თებ. 3).

ს. კ. ს-ოს 1929 წ. იანვ. 31 № 101 დადგ. „ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის ადგილობრივი წყლის ადმინისტრაციის შენახვისათვის სა-

პირო ფულის აკრეფის უფლების მინიჭების თაობაზე ამ.-კავკ. ს. ფ. ს. კ. ს.-ის მიერ 1928 წ. აგვ. 13 თარიღით და 77 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ“ გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ.-ის და ს. კ. ს.-ის 1928 წ. აგვ. 1 დადგენილებისა „წყლის გამოსაღების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (ს. ს. რ. კავშ. კან. კრ. 1928 წ. № 49, მუხ. 435.)—(„ზარ. ვოსტ.“ № 37, 1929 წ. თებ. 15).

კოოპერაცია.

ც. ა. კ.-ისა და ს. კ. ს.-ის 1929 წ. იანვ. 28 დადგენილებით „კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე ამ.-კავკ. ც. ა. კ.-ისა და ს. კ. ს.-ის 1928 წ. მარტის 7 თარიღით გამოცემული დადგენილებით მე-3 §-ის განმარტების შესახებ“ აღნიშნული § 3 არა ჭვრეტდება ამ.-კავკ. ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება გაუწიონ რევიზია, კონტროლი და მეთვალყურეობა იმ მუშაობას, რასაც სას.-სამეურნეო კოოპერაცია აწარმოებს სამელიორაცია ფონდის ხარჯით („ზარ. ვოსტ.“ № 27, 1929 წ. თებერვლის 2).

შრომა.

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახკომის № 6 დადგენილებით (1929 წ. იანვ. 31) ამ.-კავკ. ტერიტორიაზე შემოღებულია სამოქმედოდ ს. ს. რ. კავშირის შრომის სახკომის 1929 წ. იანვრის 21 დადგ. № 33 „შემფასებელი საკონფლიქტო კომისიების, შემარიგებელი კომისიების და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულების წესის შესახებ“. („ზარ. ვოსტ.“ № 25, 1929 წ. თებ. 1).


საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა.

ს. კ. ს.-ის 1929 წ. იანვრის 30 დადგენილება „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის მე-8 სემესტრის სტუდენტების (ეკონომისტების) წარმოებითი სწავლებისათვის დაწესებულებასა და საწარმოში მიღების შესახებ“ გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. ს. კ. ს.-ის 1926 წ. ივნისის 14 დადგ. (ს. ს. რ. კ. კან. კრ. № 44, მუხ. 320) და განსაზღვრავს აღნიშნულ სტუდენტთა მიღების, მათი მუშაობის და მუშაობისათვის მეთვალყურეობის წესს („კომუნისტი“ № 29, 1929 წ. თებ. 1).

ს. კ. ს.-ის დადგენილებით დამტკიცებულია „დებულება უპატრონო მოზარდებისა და ახალგაზრდობისათვის საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომა აღზრდის სახლის შესახებ“ („კომუნისტი“ № 32, 1929 წ. თებ. 9).

სადისციპლინო პასუხისმგებლობა.

ც. ა. კ.-ისა და ს. კ. ს.-ის დადგენილებით „თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია დებულება, რომელშიც გათვალისწინებულია გადასახდელის სხვა-და-სხვა სახეები, გადასახდელის დადების პირობები და ვადები, გადასახდელის დადება სასამართლოს მიერ და ხელქვეითობის



წესისამებრ და სადისც. გადასახდელის დადების საერთო წესის გაკონკალისით იმავე დადგენილებით გაუქმებულია საქმე, რეკომის 1921 წ. ივლისის 14 № 55 დეკრეტი და ც. ა. კ-ის 1924 წ. ნოემბრის 18 № 122 დადგენილებით დამტკიცებული დებულება დისციპლ. სასამართლოთა შესახებ და ძალა დაკარგულად გამოცხადებულია საქ. რეკომის 1921 წ. ნოემბრის 26 დებულება—სადისც. ამხანაგურ სასამართლოთა შესახებ. სადისც. სასამართლოებში წარმოებული ყველა საქმე, რაც დამთავრებული არ არის, უნდა გადაეცეს შემდგომის წარმოებისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებათ კუთვნილებისამებრ („კომუნისტი № 31, 1929 წ. თებერვლის 8.).

8. ქ.

სოციალური ნაწილი

შინაარსი: იუსტაცკომის ცირკულარები №№ 4 და 5.
ამონაწერი იუსტაცკომის ბრძანებიდან № 24, 25.

ცირკულარი № 4.

სამაზრო პროკურორებს, სამაზრო და სახალხო სასამართლებს, ნოტარიუსებს და სასამართლო აღმასრულებლებს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის მიერ გაცემული ვალების გადახდევინებისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა თავისი 1928 წლ. აგვისტოს 15-ის № 13 ცირკულარში აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გამგებების მუშაობაში, მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მაღლა მდგომ ორგანოთა დირექტივებისა, ადგილი აქვს შეცდომებს, რასაც თან სდევს საბჭოთა და პარტიულ ხაზის გამრუდება სასოფლო-მეურნეობის და კრედიტების საქმეში. ამასთან სხვადასხვა შეცდომებს შორის აღნიშნული იყო: ა) საწარმოებლო-სამეურნეო საკრედიტისათვის სესხის გაცემა არა ღარიბ და საშუალო გლეხებსა, არამედ შეძლებულ ელემენტებზე, ბ) დაუდევრობა და უმოქმედობა იმ ვალების საქმეში, რაც სხვადასხვა პირებსა და დეწესებულებებზე ირიცხება.

აღნიშნული შეცდომების აღმოსაფხვრელად, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ხაზით, წინადადება მისცა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სამმართველო ორგანოებს. დაუყოვნებლივ მიეღოთ შემდეგი ღონისძიებანი: 1) აიკრიბოს გადაცილებული სესხები და 2) ვადამდე აიკრიბოს; ა) არაღანიშნულებისამებრ გამოყენებული სესხი, ბ) გადახდის ვადის განაწილებით გაცემული სესხი, თუ გადასახდელი ნაწილი თავის დროზე არ იყო შეტანილი და გ) შეძლებულ ელემენტებისათვის საწარმოებლო მიზნისათვის არა სწორად მიცემული სესხი. ვინაიდან აღნიშნულ ღონისძიებათა თავისი დროზე გატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, წინადადება ეძლევათ;

1 ნოტარიუსებს და იმ სახალხო მოსამართლეებს, რომელნიც სახელმწიფო ნოტარიატის დებულებრი 1 მუხლის შენიშვნის ძალით ნოტარიუსის მოვალეობას ასრულებენ, და უ-ყ-ო-ვ-ნ-ე-ბ-ლი-გ, სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხ. „მ“ პუნქტისა და 48 მუხ. დაცვით (კან. კრებ. 1928 წ. №15, 157 მუხ.), გაუკეთონ ხოლმე სააღმსურებლო წარწერა იმ დოკუმენტებს, რომლებითაც დადასტურებულია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობისაგან მიღებული სესხის გადახდის ვადის გადაცილება მოვალისა ან მისი თავდების მიერ.

2. სამაზრო და სახალხო სასამართლოებს:

ა) რ ი გ ის გ ა რ ე შ ე დ ა, თუ ეს შესაძლებელი იქნება, ერთ სხდომაზე დანიშნონ განსახილველად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სარჩელით აღმოსავლელი საქმეები შეძლებულ ვლემენტებზე ს ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ო მ ი ზ ნ ე ბ ი თ გ ა ც ე მ უ ლ ი ს ე ს ხ ის ვადამდე გადახდევინების შესახებ, ვადამდე გადახდევინების შესახებ აგრეთვე არადანიშნულებისამებრ გამოყენებული ან ნაწილობრივ გადასახდელი სესხისა იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ნაწილი თავის დროზე არ იყო შეტანილი. ამათ გარდა დანიშნონ რიგის გარეშე ვადაგადაცილებულ ვალდებულების გამო აღძრული ყველა ისეთი საქმე, რომელზედაც, სახელმწ. ნოტ. დებ. 48 მუხლის თანახმად, სააღმსრულებლო წარწერის გაკეთება არ შეიძლება.

ბ) მიიღონ ღონისძიება აღნიშნულ საქმეებზე უწყებების თავის დროზე დასაგზავნად, იმისათვის, რომ უწყებების ჩაუბარებლობა არ იქნეს გამოყენებული საბაზად საქმის გადადებისათვის.

გ) თვითთული საქმის განხილვის დროს განიხილონ აგრეთვე საკითხი შესაძლებელია თუ არა გადაწყვეტილების წინასწარი შესრულება

3. სასამართლოს აღმსრულებლებს—ყოველი საქმე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სესხის გადახდევინების შესახებ აწარმოონ და აღასრულონ დაუყოვნებლივ,

4. სამაზრო პროკურორებს: ა) თვალყური ადევნონ ამ ცირკულარის შესრულებას და ბ) თუ აღმოაჩენენ საწარმოებლო სესხის გაცემის, წესის აშკარა და სისტემატიურ დარღვევას, აგრეთვე დანაშაულებრივ უმოკმედობას ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინების საქმეში, მისცემენ დამნაშავეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი შ. მათიკაშვილი.

საინსტრუქტორო-სარევიზიო გან. გამგე ი. ტალახაძე.

1929 წ. 14 თებერვალი.

ციკულარი № 5.

ყველა სახალხო მოსამართლეს და სანოტარო კანტორას.

კომისარიატში მიღებულ ცნობებით საღერბო გამოსაღების ნიშნების გაყიდვით შეძენილი თანხები დაგვიანებით შედის ფინორგანოებში და ახალ ავანსების მიღებას მეტად აგვიანებდა. ზოგიერთ სახ. მოსამართლეს კი სავესებით შეუწყვეტია აღნიშნულ ავანსების ფინორგანოგანოებიდან მიღება და ამრიგად ნიშნების შესაძენად სასამართლოებიდან მთხოვნელებს უხდებოდათ სიარული ფინორგანოებში ნიშნების გაყიდვით შეძენილი თანხები მთლიანად ხაზინის შემოსავლად ირიცხება და ამიტომ ყველა ორგანოები უნდა ცდილობდნენ რაც შეიძლება მალე და მეტი გაავრცელონ საღერბო ნიშნები. დასახელებული მდგომარეობა კი ამცირებს ხაზინის შემოსავლიანობას და იწვევს სასამართლოებიდან ფინორგანოებში ნიშნების შესაძენად მოსიარულე მთხოვნელთა სამართლიან უკმაყოფილებას, ვინაიდან მათ უხდებოდათ დროს დაკარგვა.

გაცნობებთ რა ამას, იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძღვეთ მუდამ ექონიოთ როგორც საღერბო გამოსაღების, ისე სასამართლოს ბაჟის ნიშნები და მათ ნაწილის გაყიდვით შეძენილი თანხები დაუგვიანებლად შეიტანოთ ფინორგანოებში იმავე რაოდენოვით ახალ ავანსების მისაღებად, რომ სასამართლოს აღნიშნული ნიშნები განუწყვეტლივ მოკაბებოდეს საკმაო რაოდენობით.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოდგილე ი. ტალახაძე.

საინსტრუქტორო-სარევიზიო განყ. გამგის მაგიერ ხარაბაძე.

1929 წ. 16 თებერვალი.

ამონაწერი ბრძანებიდან № 24.

1929 წელი—20 თებერვალი.

§ 1.

გაუქმებულ იქმნას ა. წ. თებერვლის 20-დან სამოქმედო ფუნქციების და ინვენტარის უახლოეს სასამართლოზე გადაცემით შემდეგი სანოტარო კანტორები:

1. ახალციხის მოქმედება დაევალოს ახალციხის I უბნის სახ. მოსამართლეს,
2. თელავის „ „ თელავის უბნის სახ. მოსამართლეს,
3. გორის „ „ გორის უბნის სახალხო მოსამართლეს,
4. ხაშურის „ „ სურამის უბნის სახ. მოსამართლეს,
5. ზესტაფონის „ „ ზესტაფონის უბნის სახ. მოსამართლეს,
6. სამტრედიის „ „ სამტრედიის უბნის სახ. მოსამართლეს,
7. სენაკის „ „ სენაკის უბნის სახ. მოსამართლეს,
8. ოზურგეთის „ „ ოზურგეთის უბნის სახ. მოსამართლეს,

§ 2.

განთავისუფლებული იქმნან თანამდებობიდან და სრულად სამსახურიდან ა. წ. თებერვლის 20-დან სანოტარო კანტორების გამგე—ნოტარები:

1. ახალციხის — ლ ე ნ ი ა შ ვ ი ლ ი იოსებ გაბრიელის-ძე,
2. თელავის — წ ვ ე რ ი კ მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი იოსებ (დროებით),
3. გორის — თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი გიორგი ზაქარის-ძე.
4. ხაშურის — მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი იუსტინე გერასიმეს-ძე,
5. ზესტაფონის — გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე ალექსანდრე ყარამანის-ძე,
6. სამტრედიის — გ ო გ ო ძ ე პლატონ მიხეილის-ძე,
7. სენაკის — გ ვ ა ს ა ლ ი ა იო-ბი დათას-ძე,
8. ოზურგეთის — ჩ ი ჩ უ ა გრიგოლ მაქსიმეს-ძე.

§ 3.

სანოტარო კანტორების გაუქმების გამო, წინადადება მიეცეს ყველა სანოტარო კანტორების გამგეებს, რათა იუსტსახკომის 1928 წლის 6 ოქტომბრის ბრძანების № 1128 § 9 საფუძველზე გასცენ განკარგულება მათდამი რწმუნებულ კანტორის ტენიკული პერსონალის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

იუსტსახკომის მოადგილე—ი. ტ ა ლ ა ხ ა ძ ე.

ამონაწერი ბრძანებიდან № 25.

1929 წელი—20 თებერვალი

§ 1.

ა. წ. 20 თებერვლიდან გაუქმებული იქმნას მაზრის სასამართლოები შემდეგ პუნქტებში: ახალციხის, შორაპნის, ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრაში, რომელთა დამთავრებული საქმეები გადაცემული იქმნას უახლოეს სასამართლოზე, ხოლო დამთავრებულნი კი წარიმართოს უზენაეს სასამართლოს მითითებით.

§ 2.

გაუქმებულ მაზრის სასამართლოს ინვენტარი ჩაბარდეს უახლოეს უბნის სახ. სასამართლოს, მიღება—ჩაბარების ოქმის, საკანცელარიო ნივთების და ბლანკების იუსტსახკომში გადმოგზავნით.

§ 3.

განთავისუფლებული იქმნან თანამდებობიდან და სრულად სამსახურიდან, მაზრის სასამართლოების გაუქმების გამო ა. წ. თებერვლის 20-დან შემდეგი მაზრის მოსამართლენი და მდივნები:

- | | |
|---------------------------------|-----------------------------------|
| 1. ახალციხის მაზრის სასამართლოს | ნოსამართლე დიმიტრი ხუციშვილი, |
| | მდივანი ბალსევიჩი ვლადიმერი, |
| 2. ბორჩალოს „ „ | „ ქართველიშვილი ვასილი, |
| 3. შორაპნის „ „ | მოსამართლე თოდრია ვლადიმერი, |
| | მდივანი აფხაძე ნიკოლოზი, |
| 4. ოზურგეთის „ „ | მოსამართლე მგალობლიშვილი გრიგოლი, |
| | მდივანი ხახალიეშვილი ალექსანდრე, |
| 5. ზუგდიდის „ „ | მოსამართლე როდონაია ერასტი, |
| | მდივანი ჯამიდავა ანდრია, |
| 6. სენაკის „ „ | მოსამართლე ნოდია მიხეილი, |
| | მდივანი ლომია პეტრე. |

§ 4.

განთავისუფლებულნი იქმნან თანამდებობიდან: შეთავსებით მაზრის მოსამართლის მოვალეობის აღმსრულებლობისაგან ახალქალაქის უბნის სახ. მოსამართლე ედიშე ბოიჯიანცი, კრებალოს უბნის სახ. მოსამართლე გაბრიელ აბუთიძე და რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სასამართლოს მდივანი.

§ 5.

სამაზრო სასამართლოების გაუქმების გამო, წინადადება მიეცეს ყველა მაზრის მოსამართლეებს, რათა იუსტისაჰომის 1928 წლ. 27 სექტემბრის ბრძანების № 1125 § 5 საფუძველზე გასცენ განკარგულება მათდამი რწმუნებულ სასამართლოს ტენიკურ პერსონალის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

იუსტისაჰომის მოადგილე—ი. ტალახაძე.

**გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა იუსტიციის
 ორგანოებში საქმის გაჭიანურებას.**

Обзор Законодательства.

Законодательство Союза ССР с 1 по 15 февраля 1929 г.

Ф И Н А Н С Ы

Изд. пост. СНК „об уплате краткосрочных платежных обязательств нар. ком. финансов Союза ССР и купонов по этим обязательствам в течение десяти лет по наступлении сроков оплаты“ (Изв. № 29 5 фев. 1929 г.).

Изд. пост. ЦИК и СНК от 13 февраля 1929 г. „о системе сельско-хозяйственного кредита“ (Изв. № 38, 15 фев. 1929 г.).

Т Р У Д

Постановлением ЦИК и СНК от 11 янв. 1929 г. „о порядке возложения на нанимателей обязанности по выплате рабочим и служащим пособий по временной нетрудоспособности, по случаю рождения ребенка и на погребение“ в местностях, где по техническим условиям (незначит. количество раб. и служащих, разбросанность их и т. п.) обслуживание застрахованных органами соцстраха невозможно или сопряжено с чрезмерными организационными расходами на нанимателей может быть возложена обязанность уплачивать, в размерах и сроки, установленные в законе, указанные в заголовке пособия. В этих случаях наниматели освобождаются от 50% суммы взносов за соцстрахование. (Изв. № 30, 6 фев. 1929 г.).

Опубл. пост. ЦИК и СНК от 19 дек. 1928 г. „о льготах для специалистов водохозяйственных учреждений республик Средней Азии, Казанской Автономной ССР и ЗСФСР“ (Изв. № 29 5 фев. 1929 г.).

Пост. ЦИК и СНК от 28 дек. 1928 г. „о распространении льгот для личного состава военизированной охраны предприятий и сооружений, имеющих особое государственное значение, на лиц военизированного состава охраны путей сообщения НКПС“ на означенных лиц распростр. действие пост. ЦИК и СНК от 31 авг. 1928 г., опубл. в С. З. 1928 г. № 57, ст. 501 (Изв. № 30 6 фев. 1929 г.).

НАЛОГИ И СБОРЫ

Пост. ЦИК и СНК от 8 фев. 1929 г. „о едином сельско-хозяйственном налоге и облегчении обложения середняцкого крестьянства“, общая сумма ед. сельско-хоз. налога понижается и предоставляются льготы по всем отраслям сельского хозяйства средняцкому крестьянству. СНКу Союза ССР поручается разработать на основе этого пост. проект нового положения о ед. сельско-хоз. налоге (Изв. № 33, 9 фев. 1929 г.).

Пост. ЦИК и СНК от 19 дек. 1928 г. „о порядке обложения акцизом пряжи из тонких и грубых шерстей изменяется редакция примечания к приложению 1-му к пост. ЦИК и СНК от 26 мар. 1926 г. об изменении ставок некоторых акцизов, оп. в С. З. 1926 г. № 21, ст. 137. Пост. вводится в действие с 1 янв. 1929 г. (Изв. № 29, 5 фев. 1929 г.).

Пост. ЦИК и СНК от 8 фев. 1929 г. „о размере акцизного обложения хлебного вина, виноградной водки, коньяка, водочных изделий и пива“ представляет собой ряд изменений существующих ставок обложения. (Изв. № 34, 10 фев. 1929 г.).

Опубл. пост. ЦИК и СНК от 6 фев. 1929 г. „о размере акцизного обложения хлебно-картфельного спирта, отпущаемого для крепления виноградных вин“ (Изв. № 34 10 фев. 1929 г.).

Законодательство ЗСФСР

К Р Е Д И Т

Согл. пост. СНК от 31 янв. 1929 г. № 99 „о дополнении § 2 устава (нормального) обществ взаимного кредита примечанием 2-м“ членами общества не могут состоять рабочие и служащие, государственных и кооперативных организаций, а также акцизи. и смешанных обществ с преобладанием госуд. или кооп. капитала („Заря Вост.“ № 35, 13 фев. 1929 г.).

Ф И Н А Н С Ы

Постановлением ЦИК и СНК от 28 янв. 1929 г. утверждено „положение о финансировании сельского хозяйства по местным бюджетам в ЗСФСР“ („Заря Вост.“ № 29 6 фев. 1929 г.).

М Е Р Ы И В Е С А

Пост. СНК от 31 янв. 1929 г. за № 100 „об окончательном закреплении метрических мер в лесозаготовках и деревообрабатывающей промышленности“ издано в развитие пост. СНК ЗСФСР от 25 окт. 1928 г. № 70 о мероприятиях по учету древесины в лесах, наход. на территории ЗСФСР, оп. в С. У. 1928 г. № 20 ст. 228 („Заря Вост.“ № 36, 14 фев. 1929 г.).

НАЛОГИ И СБОРЫ

Постановлением СНК № 98 от 31 янв. 1929 г. „об изменении п. 6 постановления СНК ЗСФСР № 84 от 27 дек. 1928 г.“ „о порядке проведения на территории ЗСФСР в 1928-29 окладном году водного сбора“ предельным сроком уплаты водного сбора устан. навливается 1 марта 1929 г. Прим. к п. 6 остается в силе (Заря Вост.“ № 27 от 3 фев. 1929 г.).

Постановление СНК № 101 от 31 янв. 1929 г. об отмене постановления СНК ЗСФСР от 13 авг. 1923 г. № 77 „о предоставлении Закводхозу права взимать денежные суммы на содержание местной водной администрации“ изд. на основ. пост. ЦИК и СНК Союза ССР от 1 авг. 1928 г. „о введении в действие положений о водном сборе“, оп. в С. З. Союза ССР 1928 г. № 49, ст. 435. („Заря Вост.“ № 37, 15 фев. 1929 г.).

К О О П Е Р А Ц И Я

Постановлением ЦИК и СНК от 28 янв. 1929 г. „о разъяснении § 3 постановления Закавказского Центрального Исп. Ком. Совета Народных Комиссаров ЗСФСР от 7 марта 1928 г.“ „об ответственности за убытки, причиненные незаконным вмешательством органов власти в деятельность кооперативных организаций“ действие означ. § 3 не распространяется на управления водного хозяйства ЗСФСР и федеративных республик, которым предоставляется право ревизии, контроля, обслеования и наблюдения за работами, производимыми с.-хоз. кооперацией из средств мелиоративного фонда („Заря Вост.“ № 26, 2 фев. 1929 г.).

Т Р У Д

Постановлением № 6 Наркомтруда ЗСФСР от 31 янв. 1929 г. введено в действие на территории ЗСФСР пост. Наркомтруда Союза ССР от 21 янв. 1929 г. за № 33 „о порядке принудительного исполнения решений расценочно-конфликтных комиссий, примирительных камер и третейских судов“ („Заря Вост.“ № 25, 1 фев. 1929 г.).

Законодательство С. С. Р. Грузии

ДИСЦИПЛИНАРНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ.

Постановлением ЦИК и СНК „об утверждении положения о дисциплинарной ответственности должностных лиц“ утв. плоожение, в котором предусм. все виды взысканий условия наложения взысканий, сроки, наложение взысканий судом и в порядке подчиненности и исключения из общего порядка наложения взыскани. Этим же пост. отменяются положение о дисциплинарных судах, утв. пост. ЦИК № 122 от 18 ноября 1924 г., и декрет Ревкома Грузии № 55 от 14 июля 1921 г., вместе с тем объявляется утратившим силу положение о дисциплин. товарищеских судах, утв. Ревкомом Грузии 26 ноября 1921 г. Все не законченные производством в дисц. судах дела должны быть переданы для дальнейшего производства в общие судебные учреждения по подсудности („Коммунист, № 31, 8февр. 1929 г.).

НАРОДНОЕ ОБРАЗОВАНИЕ

Пост. СНК от 30 янв. 1929 г. о приеме в учреждения и предприятия для производственного обучения студентов (экономистов) 8 семестра социально-экономического факультета тифлисского государственного университета“ изд на осн. пост. СНК Союза ССР от 14 июня 1926 г. (С. З. Союза ССР № 44, ст. 320) и определяет порядок приема, означенных студентов их работы и наблюдения за этой работой („Комм.“, № 25 1 февр. 1929 г.).

Постановлением СНК утверждено „положение о трудовом воспитательном доме при народном комиссариате труда Грузии для безпризорных подростков и молодежи („Комм.“ №32, 9 февр. 1929 г.).

Г. К.

ОФИЦИАЛЬНАЯ ЧАСТЬ.

Циркуляры Народного Комиссариата Юстиции №№ 4 и 5 и Цирк. Верховсуда № 3.

Циркуляр № 4.

Уездным Прокурорам,

Уездным и Народным Судам, Нотариусам и Судебным исполнителям.

Копия: Верховному Суду и Народным Комиссариатам Юстиции ССР Абхазии, Аджаристана и Автономной Области Юго-Осетии.

О содействии взысканию задолженности с.-х. кредитным товариществам.

В циркуляре от 15 августа 1928 г. за № 13 было отмечено, что правления сельско-хозяйственных кредитных товариществ вопреки неоднократным указаниям высших звеньев системы сельско-хозяйственного кредита, допускают в своей работе неправильности, которые ведут к искривлению советской и партийной линии в области кредитования сельского хозяйства, причем в числе прочих неправильностей были указаны следующие: а) выдача ссуд на производственно-хозяйственные нужды, вместо бедняцких и середняцких элементов важнейшим элементам и б) халатность и бездеятельность в деле своевременного взыскания накопившихся за разными лицами и учреждениями долгов.

Для ликвидации такового положения по линии системы сельско-хозяйственного кредита сельско-хозяйственным банком ССР Грузии предложено органам управления сельско-хозяйственных кредитных товариществ принять срочно следующие меры: 1. взыскать просроченные ссуды и 2. досрочно взыскать: а) ссуды, использованные заемщиками не по назначению, б) ссуды, по которым не поступили в срок частичные гасительные платежи и в) ссуды, неправильно выданные зажиточным элементам населения на производственные цели.

Так как своевременное проведение в жизнь означенных мероприятий является чрезвычайно важным, предлагается:

1. Нотариусам и Народным Судьям, которые на основании примеч. к ст. 1-й Положения о Государственном Нотариате исполняют обязанности нотариусов, без замедления совершать исполнительные надписи на документах, устанавливающих просрочку должниками и их поручителями ссуд, полученных от с.-х. кредитных кооперативных товариществ, с соблюдением пункта „м“, ст. 46-й и ст. 48-й Положения о Государственном Нотариате (Собр. Узак. 1928 г. № 16, ст. 157).

საქართველოს ს. ს. რ. იუსტსსახკომის
გამომცემლობა

დაიბეჭდა

საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის
საპროცესო კოდექსის

გ ა ბ რ ე ლ ე ბ ა

ფასი 20 კაპ.

იბეჭდება და ახლო ხანში

გ ა მ ო მ ბ ა

ნ. ჯინჭარაძის „შრომის კონფლიქტების
განხილვის ახალი წესები“

გამომცემლობის საწყობი:

ტრიბუნალის ქუჩა № 32.



ბრძელდება ხელისმოწერა ≡ საბჭოთა სამართლები ≡

ხელისმოწერის პირობები:

1 წლით 10 მან.

6 თვით 5 მან. და 50 კაპ.

3 თვით 3 მანეთი

ცალკე ნომერი 50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

ჟურნალის კანტორაში შეიძლება ავტომატურად 1928 წლის
ჟურნალის ვაგონი ეკსპლუატაციის შესენა დაკლებულ
ფასებში.

მისამართი: ტფილისი. ტრიბუნალის ქ. № 32
საბჭოთა სამართლის—რედაქცია
ტელეფ. I 42.